ხონის კოლონიაში პირობები გაუმჯობესებულა A2

არქეოლოგები საქართველოში უდიდესი აღმოჩენების მოლოდინში არიან A4

FIFA ყორდანიას ბლატერთან ვიზიტის ამსახველ ფოტოს აქვეყნებს B2



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ქვირა, 11 აგვისტო, 2002 წელი. №70

ფასი 50 თეთრი


© გაზეთი 24 საათი

# დაბალანსების პოლიტიკა და ახალი ქართველი ფეოდალები

ბადრი კოპლატაძე



შევარდნაძე და მისი "მოადგილეები"

საქინფორმი



ზესო ბულიაშვილის ფოტო

1993 წელს გაზეთ რეზონანსში გამოქვეყნდა ერთი პატარა სტატია, სათაურით "ომი შევარდნაძის მოადგილეებს" შორის. წერილი აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტს შეეხებოდა. იქ მიმდინარე ომი განხილული იყო, როგორც შევარდნაძის ორ მოადგილეს შორის ძალასუფლებისათვის ბრძოლა (მაშინ შევარდნაძე - პარლამენტის თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეთაური იყო და იურიდულად ნადარეიშვილიც და არძინბაც მის მოადგილეებად ითვლებოდნენ). სტატიას საკმაოდ დიდი, მაგრამ უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, რადგანაც მაშინ საზოგადოების ნაწილმა აფხაზეთის მოვლენების ხელისუფლებისთვის ბრძოლამდე დაყვანა, გარკვეულწილად სამართლიანადაც, შეურაცხმყოფელად მიიჩნია. მას მერე ცხრა წელი გავიდა. ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ იმას, რაც ახლა თამაზ ნადარეიშვილსა და ასლან აბაშიძეს შორის ხდება, სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა ისევ და ისევ ომს შევარდნაძის მოადგილეებს შორის, რომლის მიზანი აფხაზეთის დაბრუნება სულაც არ არის.

დღეს ბევრს საუბრობენ, რომ ეს დაპირისპირება ხელოვნურია და მისი ასეთი სახით გამწვავება, პრინციპში, ორივე მხარისთვის მოგებიანია. აბაშიძე ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით გამოვიდეს აფხაზეთან დაკავშირებული "დიპლომატიური თამაშიდან"; ნადარეიშვილი კი, დაპირისპირების ფონზე, "ლეგიტიმური სტრუქტურების" გადარჩენას და განმტკიცებას ესწრაფვის. ამიტომაც, აღარავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ არგუმენტებს, რომლითაც მხარეები კამათობენ, თუმცა, თუ ობიექტურები ვიქნებით, არც ნადარეიშვილის და არც აბაშიძის მომხრეთა პოზიციები სიძლიერით არ გამოირჩევა. ცოტა არ იყოს გაუგებარია, როდესაც იგივე აბაშიძის მომხრეები, რომელთა ლიდერმა პრეზიდენტის მიერ დანიშვნა და ამას მიყოლებული ვახტანგ გორგასლის ორდენი დიდი პატივით მიიღო, დღეს შევარდნაძეს აბრალებენ ყველაფერს, რაც ბოლო წლებში ხდება. ასევე კითხვის ნიშნებს აჩენს ნადარეიშვილის პოზიციაც, რომელიც ბოლო ცხრა წელია, თბილისურ კაბინეტს ვერ გასცდა, ახლა კი სხვებს მოუწოდებს პარტიზანული ომისკენ. მაგრამ დაპირისპირებულ მხარეებს ეს სულაც არ უშლით ხელს, კიდევ უფრო დიდი თავგამოდებით იკამათონ. რამდენად რთულია სიტუაცია, ამას მოსახლეობა ყოველდღიურად ხედავს.

ამ დაპირისპირების უკან იკვეთება ერთი ფაქტორი, რომელიც საქართველოსთვის ახალი არ არის – მის ანალოგს ისტორიაში არაერთგზის შეხვდებით. ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე ყოველთვის იწვევდა დეზინტეგრაციულ პროცესებს, რეგიონული ლიდერების გააქტიურებას და პირიქით. თუ გასულ საუკუნეებში ეს ფეოდალთა ომებით გამოიხატებოდა, ახლა დაპირისპირებას უკვე თანამედროვე სახე აქვს და მხარეები მოსახლეობისგან მიღებული მანდატებით მანიპულირებენ. თუმცა, გარეგნული განსხვავებულობის მიუხედავად, ფრაზეოლოგია შინაარსობრივად არ იცვლება. ფეოდალების მოტივაციას ყოველთვის პირადი სარგებელი და ანგარება წარმოადგენდა. მათი მოქმედების განმსაზღვრელი სიტყვები იყო "მე" და "ჩემი".

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის პრესტიჟი ერთ მილიონ დოლარად არ უღირს

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს ხელისუფლება, რომლის თითქმის ერთადერთი კოზირი საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება და თავის დროზე საერთაშორისო "წარმატებების" მიღწევაა, ამ კოზირსაც კარგავს. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მთავრობა აპირებს უარის თქმას იმ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობაზე, რომლებიც საქართველოსთვის "ნაკლებად მოგებიანნი" არიან.*

*დღეს ამ მოგებიანობის ზუსტი კრიტერიუმი დადგენილი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყანაში წარმოებული არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის, კორუფციის დამღუპველი დონისა და მუდმივად გარღვეული ბიუჯეტის წყალობით, ვერ ახერხებს წელიწადში ერთი მილიონის გაღებას ქვეყნის პოლიტიკური პრესტიჟის შესანარჩუნებლად.*

სწორედ ერთი მილიონი სჭირდება ყოველწლიურად საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციების საწევროების გასტუმრებას.

დღეს კი, თავისუფლების ათი წლის თავზე, ქვეყანას 30 მილიონის საწევროების საერთო დავალიანება დაუგროვდა. ამას, შეიძლება, საქართველოს მეტად ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გარიცხვაც მოყვეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რომან გოცირიძე სააკაშვილისგან განდგომას უარყოფს

თამარ ხორბალაძე

ბოლო დღეებში გავრცელებულ ინფორმაციას, "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტიდან" რეზო შავიშვილის წასვლის შესახებ, გუშინ შეემატა ცნობა იმის თაობაზე, რომან გოცირიძემაც დატოვა მოძრაობა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს მეტად დიდი დანაკლისი იქნებოდა "ნაციონალისტებისათვის", რადგან რომან გოცირიძე არა მხოლოდ პოლიტიკური სახელი, არამედ ბლოკის ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთი წარმმართველია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# გაზაშვილს ზაიცევის მკვლელობის ბრალი ვერ წაუყენეს

სოფიკო ჩხაიძე

დღეს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ უნდა განიხილოს რუსი პოლკოვნიკის, იგორ ზაიცევის მკვლელობაში ეჭვმიტანილის, დავით გაზაშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხი. თუმცა, გაზაშვილი სასამართლოს წარუდგება არა როგორც განზრახ მკვლელობაში, არამედ იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარებაში ბრალდებული. სწორედ ამ მუხლით წაუყენეს მას გუშინ ბრალი ვაკე-საბურთალოს პროკურატურის გამომძიებლებმა და გადასცეს კიდეც მისი საქმე სასამართლოს.

დავით გაზაშვილი 8 აგვისტოს დააკავეს, 10 დღის განმავლობაში დაკარგულად მიჩნეული ზაიცევის გვამის აღმოჩენიდან მეორე დღესვე. როგორც ამბობენ, მას მანქანის დახმარებით მიაგნეს. ინკოგნიტოდ აღიარებულმა ინფორმატორმა სამართალდამცველებს, თურმე, გვამის ადგილსამყოფელთან ერთად, იმ მანქანის ნომერიც აცნობა, რომლითაც გვამი ჯიქიას ქუჩაზე მიიტანეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# კინოვარსკვლავი, კოზა ნოსტრა და ბუდა

## რატომ ემუქრება მაფია სტივენ სიგალს

მელორ სტურუა

საქ. კორ. აშშ

ეს ამბავი 2001 წლის თებერვალში მოხდა. სათავგადასავლო ფილმების სუპერვარსკვლავი და კარატეს უბადლო ოსტატი სტივენ სიგალი თავის პროდიუსერთან, ჯულიუს ნასოსთან სტუმრად გახლდათ. სიგალის და ნასოს გარდა, ნასოს ბრუკლინის სახლში იმყოფებოდა ამ უკანასკნელის ძმაც - ვინსენტი. რამდენიმე ხანში მათ შეუერთდა განგსტერი რიჩარდ ბონდი, გამბინოს მაფიოზური ოჯახის ერთ-ერთი - "კაპო" (მეთაური). ახალმოსულმა მსახიობს და ძმებს ავტომობილით გასეირნება შესთავაზა. მიწვევა პისტოლეტის ლულის თანხლებით ხდებოდა. გამტაცებელმა, მოტაცებულებთან ერთად, რამდენიმე სხვადასხვა ლიმუზინი გამოიცვალა, შესაძლო მდევრისგან თავი რომ დაეზღვია და ეს დაბრკოლებებით რბოლა, ბოლოს, ნიუ-იორკის ბრუკლინის გარეუბანში მდებარე რესტორან "კეიჯი და ტოლნერში" დაასრულა. იქ მგზავრებს გამბინოს ოჯახის კიდევ ორი მეთაური დაუხვდათ - ენტონი ჩიკონე, მეტსახელად "სონი" და პრიმო კასარინო. ყველა მოქმედმა პირმა რესტორნის უკანა ოთახში გადაინაცვლა, სადაც განგსტერებმა სიგალს 700 ათასი დოლარი მოსთხოვეს, ოღონდ თავიანთთვის კი არა... მისი პროდიუსერი ნასოსთვის!

მთელი ეს ეპიზოდი, თავის მოულოდნელი, ო'ჰენრისეული ფინალიანად, ზუსტად იმ ჰოლივუდურ ფილმებს ჰგავდა, რომლებმაც სტივენ სიგალს ფული და დიდება მოუტანეს. ოღონდაც, ამჯერად, ეს ყველაფერი კინოს ვირტუალურ რეალობაში არ ხდებოდა. ჯულიუს ნასო თხუთმეტი წლის განმავლობაში იყო სიგალის პროდიუსერი. ამ ხნის მანძილზე ერთად ათი ფილმი გადაიღეს. ამ ფილმებმა ასობით მილიონი დოლარი მოიტანა. სიგალი და ნასო განუყრელები იყვნენ. სტეიტს-აილენდზე (ნიუ-იორკის რაიონი) გვერდიგვერდ სახლებში ცხოვრობდნენ, ოჯახებით მეგობრობდნენ, სიგალის ერთ-ერთმა შვილმა ფეხიც კი ნასოს ხელში აიდგა.

მაგრამ ნასოსთვის კინოპროდიუსერობა ძირითადი პროფესია არ იყო. ის და მისი ძმა ვინსენტი ცნობილი განგსტერები იყვნენ, გამბინოს ოჯახის წარმომადგენლები. კინოპროდიუსერობის გარდა, ფორმალურად, ნასო კიდევ ერთი ბიზნესით იყო დაკავებული - ფარმაცევტული პროდუქციის საერთაშორისო-საზღვაო გადატანით.

გაგრძელება B1 გვერდზე

# დსთ-დან გასვლის თემამ ისევ წამოიწია

გიორგი ასანიშვილი

რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური მანქანის შემოტევას საქართველო კონტრშეტევებით პასუხობს. ამას წინათ პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა კახა იმნაძემ განაცხადა, რომ **"საქართველო იძულებული იქნება, დატოვოს დსთ-ს რიგები, თუ რუსეთი გააგრძელებს იმ ბინძურ კამპანიას, რომელსაც ის ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ბოლო პერიოდში აწარმოებს"**.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან წამოსული ასეთი იმპულსი თვით პროშევარდნაძისტული ძალებისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა, თუმცა, შევარდნაძის "ახალ მიდგომას", ცხადია, მათ მაინც დაუჭირეს მხარი.

**"საქართველო პატარა ქვეყანაა და საგარეო პოლიტიკაში "თამაშისას", ცოტა კოზირები აქვს. ერთ-ერთ ასეთ კოზირს სწორედ დსთ-ს საკითხი წარმოადგენს. ისე, ემოციები გვერდზე რომც გადავდოთ, მაინც საკმაო საფუძველი გვაქვს დსთ-ში საქართველოს ყოფნის მიზანშეწონილების ეჭვის ქვეშ დასაყენებლად",** - აცხადებს "ალიანსი ახალი საქართველოსთვის" წევრი ზვიად მუკბანიანი.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი, მართალია, მომხრეა, რომ საქართველო თანამეგობრობის წევრად დარჩეს, მაგრამ, როგორც თვითონ ამტკიცებს, არც საპირისპირო ნაბიჯს გაუწევს დიდ წინააღმდეგობას:

**"პანაცეად არც გამოსვლა მიმაჩნია და არც დარჩენა. პოლიტიკურად დსთ ნაკლებად მაინტერესებს, გარდა იმ სითბოს შენარჩუნებისა, რომელიც თანამეგობრობის ბევრ ქვეყანას შორის არსებობს, ამ გაერთიანების ეკონომიკურ პოტენციალს კი სათანადოდ ვერ ვიყენებთ".**

**"დსთ-ში ყოფნა-არყოფნას შევარდნაძე თავის სკამს უკავშირებს. თუ თანამეგობრობაში ყოფნა მის ხელისუფლებას საფრთხეს შეუქმნის, მაშინ პრეზიდენტი დსთ-ს უგანებს, ან - პირიქით,"** - ვარაუდობს ტრადიციონალისტი შალამბერიძე.

და მაინც: თუ დსთ-დან საქართველოს გასვლას შევარდნაძის მხარდამჭერი ფრაქციები პარლამენტში ღიად მოითხოვენ, ტრადიციონალისტები მზად არიან, მათთან ითანამშრომლონ და მიიღონ დოკუმენტი, რომელიც დსთ-დან გასვლის ერთწლიანი პროცედურის ოფიციალურ დაწყებას დაუდებს სათავეს.

# რუსეთის გენერალური პროკურატურის დელეგაცია „დაიკარგა„

სოფო ჩხაიძე

საქართველო-რუსეთის საზღვრის გადმოლახვისათვის 3 და 5 აგვისტოს დაკავებული შეიარაღებული ჩეჩნების ექსტრადიციას რუსეთი დაჟინებით მოითხოვს და, როგორც ჩანს, ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ საზღვრის 13 დამრღვევს ლეფორტოვოს იზოლატორში არ დაიგულებენ. თუმცა, პირველი დღეების მსგავსად, ახლა უკვე რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი ჩინები აღარ წუხდებიან, ყოველ შემთხვევაში, რუსეთის პრეზიდენტსა და გენერალურ პროკურორს, რომლებიც რამდენიმე დღის წინ უშუალოდ იყვნენ ჩართულნი ამ პრობლემის სათავისოდ მოგვარების საქმეში, ბოლო ხანებში ხმამაღალი

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | |
| ქუთაისი | 29 | |
| ბათუმი | 26 | |
| სოხუმი | 27 | |
| ფოთი | 27 | |
| თელავი | 28 | |
| ზუგდიდი | 28 | |
| გორი | 27 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1800 |
| ევრო | 2.1148 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3381 |
| რუბლი | 0.0690 |

# ნოვოროსიისკში წყალდიდობის მსხვერპლთა რიცხვი იზრდება

ნოვოროსიისკში პარასკევს მომხადრი სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 44-ს მიაღწია. 27 მათგანი უკვე ამოცნობილია. მათგან ექვსი უკრაინის მოქალაქეა. დაღუპულთა შორის 25 ქალი და ორი მცირეწლოვანი ბავშვია. 10 აგვისტო კრასნოდარის მხარეში გლოვის დღედ გამოცხადდა.

ვლადიმირ პუტინმა სპეციალური თათბირი მიუძღვნა სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციას. რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს მონაცემებით, წყალდიდობისა და შტორმების პიკმა გადაიარა, მომდევნო დღეებში ვითარება სტაბილური გახდება.



კრასნოდარის მხარეში სტიქია მძვინვარებს


A2 ინფორმაცია A2 სამართალი A3 პოლიტიკა A3 ეკონომიკა A4 ისტორია

B2 სპორტი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, საფასურის გადაუხდელობის გამო, რეგიონების წყალკანალის ობიექტებს 13 აგვისტოდან ელექტროენერგიის მიწოდებას შეუზღუდავს.

ენერგოკომპანიის ინფორმაციით, შეზღუდვები შეეხება რუსთავის, წყალტუბოს, სენაკის, ქუთაისის, თერჯოლის, ჭიათურის, ზესტაფონის, საჩხერის წყალკანალებს, აგრეთვე, დუშეთისა და ჟინვალის კომუნალურ მეურნეობებს. სამი წლის განმავლობაში მათმა ვალმა 28 მილიონი ლარი შეადგინა. სწორედ ამის გამო, სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ვერ იხდის საბითუმო ბაზარში შესყიდული ელექტროენერგიის საფასურს, რამაც, შესაძლოა, თავად კომპანიის პარალიზება გამოიწვიოს.

ზემოთჩამოთვლილი წყალკანალის ობიექტებს ელექტროენერგიის მიწოდებაზე შეზღუდვები დავალიანების გადახდის შემთხვევაში მოეხსნებათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ლაგოდეხი..** გურამ შარაძის მხარდამჭერმა საზოგადოებამ "ნაციონალური მოძრაობა - ჩემი საქართველო" ლაგოდეხში ყრილობა გამართა.

ყრილობა საქართველოში მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვას მიეძღვნა. გურამ შარაძე, მოსახლეობასთან შეხვედრამდე, მხარდამჭერებთან ერთად, ყაზანის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში წირვას დაესწრო, რომელიც მეუფე სერგიმ აღასრულა.

გურამ შარაძემ ლაგოდეხის გამგეობის შენობაში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების შელახვის, მოსახლეობაში ბაპტისტური, ორმოცდაათიანელების, იეღოველების და სხვა სექტების მიმდინარეობის გავრცელების შესახებ ისაუბრა.

შარაძემ თავის ერთსაათიან გამოსვლაში საქართველოს პარლამენტი არაერთხელ დაადანაშაულა ეროვნების წართმევაში. "მართლმადიდებლური რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, სექტების წინააღმდეგ ბრძოლა ანტიდემოკრატიულ გადაწყვეტილებებად განიხილება იმ პირების მიერ, ვისაც არ სურს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცება", - განაცხადა გურამ შარაძემ.

ყრილობაზე ერთ-ერთი ლაგოდეხელის თქმით, რაიონში იეღოვას მოწმეების მიერ მართლმადიდებლური მოსახლეობის შევიწროების ფაქტები ხშირია.

გურამ შარაძის მხარდამჭერ საზოგადოებაში 200 ლაგოდეხელი გაერთიანდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** სამშვიდობო ძალების სარდალი ვასილ პრიზემლინი რამოდენიმე დღეში პოსტს დატოვებს.

როგორც "ინტერ-პრესს" სარწმუნო წყარომ აცნობა, რუსეთის სახმელეთო ძალების სარდლის მოადგილის ვალერი ევნევიჩის ბოლოდროინდელ ვიზიტებს ცხინვალში უკვალოდ არ ჩაუვლია. რუსეთის სახმელეთო ძალების სარდლობა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ შერეულ სამშვიდობო ძალებში სერიოზულ საკადრო ცვლილებებს ანხორციელებს.

სამშვიდობო ძალების სარდლის ვასილ პრიზემლინის სავარაუდო პოსტის დატოვების მიზეზად ერთი თვის წინ არცევის საგუშაგოდან რვა რუსი სამხედრო მოსამსახურის გაქცევის ფაქტს ასახელებენ.

პირველად პოსტის დატოვება ცისფერჩაფხუტიანთა შტაბის უფროსს ალექსანდრე პარასკევას მოუხდა, მისი შემცვლელი ცხივნალში უკვე ჩამოვიდა და მოვალეობის ოფიციალურად შესრულებას 12 აგვისტოდან შეუდგება.

რუსეთის სახმელეთო ძალების სარდლობა სერიოზული საკადრო ცვლილებების კონკრეტულ მიზეზებს ოფიციალურად არ ასახელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი..** ქართული ელიტა არა ელიტარულად იქცევა და გამწვანებულ ზოლში სახლებს აშენებს, - განუცხადა "ინტერ-პრესს" საქართველოს "მწვანეთა პარტიის" ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ.

მისი თქმით, "მწვანეებში" შესულია მოსახლეობის წერილი სადაც ისინი ორგანიზაციას დახმარებას სთხოვენ, კერძოდ კი თბილისში ირაკლი აბაშიძის 18-ში საცხოვრებელი სახლი გამწვანებულ ზოლში შენდება. მოსახლეობის მტკიცებით, სახლს აქ ქართული ელიტის წარმომადგენლები გიორგი ციციშვილი, გია ნახუცრიშვილი, რობერტ ბარძიმაშვილი, ეკა მამალაძე და ნანი ბრეგვაძე იშენებენ.

"ქალაქში საცხოვრებელი სახლების გამწვანებულ ზოლებში მშენებლობა, ბოლო დროს, მოდაში შემოვიდა და მოდას უკვე ინტელიგენციაც აჰყვა. სამწუხაროდ, ეს ცუდი ტენდენციაა და თბილისის მოსახლეობა სულ მალე, შესაძლოა, ბაღ-პარკებისა და სკვერების გარეშე დარჩეს," - ამბობს გაჩეჩილაძე. მისივე მტკიცებით "მწვანეებმა" უკვე დაუგზავნეს წერილები შესაბამის სახელმწიფო სამსახურებს და ისინი სათანადო ზომებს აუცილებლად მიიღებენ.

1998 წლის პარლამენტის დადგენილებით თბილისში ბაღ-პარკებსა და სკვერებში ყოველგვარი მშენებლობა აკრძალულია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი..** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო პანკისის ხეობის მახლობლად საჯარისო ქვედანაყოფების სამხედრო სწავლების ჩატარებას გეგმავს.

ამის შესახებ "ინტერ-პრესს" თავდაცვის მინისტრის პრეს-მდივანმა, ნინო სტურუამ განუცხადა.

მისი თქმით, თავდაცვის სამინისტროს მიერ ამ რეგიონში სამხედრო სწავლების ჩატარება იქ არსებულ ვითარებას არ უკავშირდება. სამხედრო უწყება გეგმიური სწავლების ჩატარებას ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 19 აპრილს გეგმავდა, თუმცა, კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების გამო, იგი გადაიდო. სწავლების დაწყების თარიღი ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა გასცა განკარგულება ანტიკორუფციული ბიუროსათვის 299 999 ლარის გადარიცხვის შესახებ. როგორც კავკას-პრესს სახელმწიფო კანცელარიიდან აცნობეს, ანტიკორუფციულ ბიუროს თანხა ჩაერიცხა 2992 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის თანახმად.

პრეზიდენტი შევარდნაძე ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობით კმაყოფილია. ბიურომ განახორციელა სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით სერიოზული ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ ბიუროს ხელმძღვანელების მოხსენებების საფუძველზე უკვე გათავისუფლებულია საკმაოდ მაღალი თანამდებობის მქონე რამოდენიმე პირი. მათ შორის სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა მთიანეთის გუბერნატორები გიგლა ბარამიძე და კობა ბუჩუკური, პრეზიდენტის კანცელარიის რეგიონალური პოლიტიკის მართვის სამსახურის უფროსი ბადრი ხატიძე, სატყეო დეპარტამენტის დირექტორი გივი ჯაფარიძე და კანცელარიის მაღალჩინოსანი იძულებულები გახდნენ განცხადება გადადგომის შესახებ თავად დაეწერათ.

აღსანიშნავია, რომ ბიუროში 12 წევრი მუშაობს და ყველა მათგანს საქართველოს პიროებებში, საკმაოდ მაღალი სახელფასო ანაზღაურება აქვს. ეს თანხა მერყეობს 599 ლარიდან ზემოთ. კავკას-პრესი.

■ ■ ■

**სოხუმი.** საქართველო-აფხაზეთის ომის დაწყების 19 წლისთავს მიეძღვნა კონფერენცია, რომელიც ორგანიზებული იქნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "აიტარას" მიერ.

კონფერენციაზე ისტორიკოსმა სტანისლავ ლაკობამ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორიული კონტექსტი მიმოიხილა. აფხაზეთის შეიარაღებული ძალების შესახებ მოხსენებით გამოვიდა სეპარატისტების პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ ნაჩაჩ-ოღლი. კონფერენციაზე საუბარი იყო ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში კავკასიის ხალხთა კონფედერაციის როლზე, რომელსაც მწერალმა გენადი ალამიამ თავისი გამოსვლა მიუძღვნა.

ერის თვითგამორკვევის უფლებაზე, როგორც ადამიანის უფლებათა ერთ-ერთ ძირითად საფუძველზე ისაუბრა ადამიანის უფლებათა ნაციონალური კომისიის თავმჯდომარემ, ვახტანგ ხაგბამ. ვიაჩესლავ ეშბამ და იური აჩბამ კონფერენციის მონაწილეებს გაუზიარეს თავიანთი მოგონებები 1882-83 წლების ომის შესახებ. მათ ასევე გაიხსენეს, როგორ ჩამოყალიბდა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალები და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა მოაწერა ხელი განკარგულებას "იტერა ინტერნეიშნლ ენეჯისა" და "თბილგაზის" ბაზაზე ერთობლივი კერძო სამართლის კომერციული იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ. როგორც კავკას-პრესს სახელმწიფო კანცელარიიდან სარწმუნო წყარომ აცნობა, ამით ედუარდ შევარდნაძემ მოიწონა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გადაწყვეტილება.

განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროს, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, იუსტიციის სამისნისტროს, თბილისის მერიისა და ადგილობრივი თვითმართველობის შესაბამისი ორგანოების მხარდაჭერით უნდა აწარმოოს მოლაპარაკება კომპანია "იტერა ინტერნეიშნლ ენერჯისთან" და დააფუძნოს კერძო სამართლის კომერციული იურიდიული პირი ორმხრივი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შესაბამის სამსახურებს დაევალათ მიწის კადასტრისა და ტექნიკური აღრიცხივის დოკუმენტების მომზადება. კორნტროლი კი განკარგულების შესრულებაზე ეკისრებათ სახელმწიფო მინსისტრის მოადგილეებს მამუკა ნიკოლაიშვილსა და აკაკი ზოიძეს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს პრეზიდენტმა გამოუყო 5 ათასი ლარი იმერეთში მომხდარი კატასტროფის დროს დაზარალებულებისათვის. როგორც კავკას-პრესს სახელმწიფო კანცელარიიდან აცნობეს, თანხის გამოყოფა იმერეთის გუბერნატორის თემურ შაშიაშვილის თხოვნით მოხდა.

ეს თანხა გამოიყო 13 ივლისს ქუთაისი-წყალტუბოს ტრასაზე მომხდარი ავტოავარიის დროს დაღუპულებისა და დაშავებულებისათვის. ავტოკატასტროფაში დაიღუპა ორი ადამიანი და დაშავდა 7 ადამიანი. თანხა დაღუპულთა და დაშავებულთა ოჯახის წევრებს გადაეცემა.

როგორც კავკას-პრესისათვის გახდა ცნობილი, დღეს პრეზიდენტთან შევიდა განკარგულების პროექტი გუშინ რიკოთის უღელტეხილზე მომხდარი ავტოკატასტროფის დროს დაღუპულთა და დაშავებულთა ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ. ამ ავარიის დროს დაიღუპა 8 და დაშავდა 14 ადამიანი. **კავკას-პრესი.**

# რომან გოცირიძე სააკაშვილისგან განდგომას უარყოფს

პირველი გვერდიდან

შავიშვილი-გოცირიძის წასვლა, "ნაციონალისტთა" ბლოკის დაშლის უკვე სერიოზულ ნიშნად შეიძლება ჩათვლილიყო, რადგან პოლიტიკურ წრეებში არსებობს აზრი, რომ საკრებულოს არჩევნებთან დაკავშირებულმა მოვლენებმა "ნაციონალისტებს" საფუძველი მოურყიეს.

"24 საათი" გუშინ დაუკავშირდა რომან გოცირიძეს და ინფორმაციის გადამოწმება უშუალოდ პირველწყაროსგან სცადა:

**- ეს არის გამიზნული სიცრუე ჩვენი ბლოკის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ეს ძალიან სერიოზულ კაბინეტებშია დაგეგმილი. არა მაქვს მხედველობაში მხოლოდ კანცელარია. მხოლოდ კანცელარია რომ იყოს, ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი. ამ კამპანიის მიზანია მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ჩვენი ბლოკის როგორმე დასუსტება.**

**ამ კამპანიის ნაწილია ახალი საკრებულოს ამუშავების მაქსიმალურად პარალიზება. საკრებულო რომ ადრე თუ გვიან ამუშავდება, ამაში ეჭვი არ მეპარება, რადგან შეუძლებელია, რომ თბილისი დარჩეს საკრებულოს გარეშე, ან მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ახალი არჩევნების ჩატარება მოესწროს. მაგრამ საკრებულოს ამოქმედების გაჭიანურება ხდება იმისთვის, რომ ჩვენ არ მოგვეცეს პოზიტიური მუშაობის გამოჩენის საშუალება თბილისის დონეზე. ყველაფერი ეს არის ერთი თემის გაგრძელება. თუნდაც რეზო შავიშვილის გასვლა...**



*რომან გოცირიძე*

- ანუ, თქვენ გინდათ თქვათ, რომ რეზო შავიშვილი ამ თამაშში ჩაერთო?

**- არა. "ნაციონალური მოძრაობა" წარმოდგენილი იყო რესპუბლიკური პარტიის, ზვიად ძიძიგურის პარტიის და რეზო შავიშვილის ჯგუფით, რომელიც ცალკე აღებულ ფიგურად კი არ აღიქმებოდა, არამედ რაღაც პოლიტიკური ჯგუფის ლიდერად. უბრალოდ, ამ ჯგუფს არ ჰქონდა გაფორმებული სახე. ახლა რეზო შავიშვილი ამბობს, რომ აყალიბებს თავის პარტიას, რა არის ამაში გასაკვირი? ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ რეზო შავიშვილი "ნაციონალურ მოძრაობას" საბოლოოდ გაემიჯნა.**

- თქვენ იმასაც უარყოფთ, რომ "ნაციონალურ მოძრაობაში" ბოლო პერიოდში პოლიტიკოსთა ნაწილის წასვლის ტენდენცია შეიმჩნევა?

**- პირიქით, ბოლო პერიოდში, ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგად, ბლოკში აბსოლუტური კონსოლიდაცია სუფევს.**

*სამართალი*

# გაზაშვილს ზაიცევის მკვლელობის ბრალი ვერ წაუყენეს

პირველი გვერდიდან

დის ბინაში დაკავებულ გაზაშვილს იქვე აღმოუჩინეს უცხოური წარმოების იარაღი და ტყვიები. გაზაშვილი, სავარაუდოდ, რუსეთის მოქალაქეა ან ორმაგი მოქალაქეობის მატარებელი. ის ორი წლის წინ გამოეთხოვა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების შტაბს, სადაც წლების მანძილზე მსახურობდა. შესაბამისად, იგი წლების მანძილზე ზაიცევის თანამშრომელიც იყო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისინი მეგობრობდნენ კიდეც. თუმცა, ამ ეტაპზე ზაიცევთან მეგობრობის ფაქტი დამაჯერებლად ვერ დასტურდება. თავად ბრალდებული ამბობს, რომ საერთოდ არ იცნობდა მოკლულს. გაზაშვილში ქმრის მეგობარი ვერ ამოიცნო იგორ ზაიცევის მეუღლემაც, თუმცა თქვა, რომ იგი 27 ივლისს, იმ დღეს, როცა პოლკოვნიკი გაუჩინარდა, დილის 8 საათზე დაუნახავს, როდესაც მის ქმარს მიაკითხა და წაიყვანა. ახლა უკვე დადგენილია, რომ ზაიცევი იმ დღეს სამსახურში მივიდა და მხოლოდ საღამოს, სამარშრუტო ტაქსში ჩამჯდარი ნახეს იგი უკანასკნელად.

ზაიცევის მეუღლის ჩვენება მნიშვნელოვანი გამოდგა იგორ ზაიცევის მკვლელობის გამოძიების საქმეში, თუმცა ჯერ კიდევ არ არსებობს რეალური საფუძველი იმისა, რომ გაზაშვილს მკვლელობაში ან მკვლელობის თანამონაწილეობაში წაუყენონ ბრალი. ჯერჯერობით მხოლოდ ოპერატიულ ინფორმაციად რჩება მკვლელობის მოტივიც – 140 დოლარის ოდენობის ვალის დაუბრუნებლობა.

ვაკე-საბურთალოს პროკურორის, თამაზ გეთიას თქმით, "გაზაშვილისთვის მკვლელობის მუხლით ბრალის წაყენება არ ვიჩქარეთ, რადგან არ მოესწრო მისი მანქანისთვის ექსპერტიზის ჩატარება. არადა, მანქანის სალონში აშკარად შეიმჩნევა ლაქები, რომლებიც სისხლს ჰგავს. ექსპერტიზამ უნდა დაადასტუროს ჩვენი ეჭვი, რომ ეს მართლაც ზაიცევის სისხლია. ველით აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანი ჩვენების მიღებას, რომელიც ბევრ რამეს გაარკვევს. თავად გაზაშვილი მკვლელობას სასტიკად უარობს, თუმცა მისი ჩვენებები იმდენად წინააღმდეგობრივია, იმდენად დაბნეულად ლაპარაკობს და იმდენ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას გვაწვდის, რომ რაღაც შინაგანი რწმენა გამიჩნდა იმისა, რომ მკვლელი თუ არაა, მკვლელობაში მონაწილეობა მაინც ნამდვილად მიღებული აქვს".

ხვალ სასამართლო გაარკვევს, გამოძიებამ, გაზაშვილისთვის იარაღის უკანონოდ შენახვისა და ტარების დასაბრალებლად, მტკიცებულებები რამდენად კანონიერად მოიპოვა. თითქმის უეჭველია, რომ ბრალდებულს სამთვიანი პატიმრობა მაინც გარანტირებული აქვს. რაც შეეხება შემდგომ გამოძიებას, საქმეში, შესაძლოა, გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლებიც ჩაერთონ. იგორ ზაიცევის მკვლელის მოძიება, კრიმინალური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც, სწორედ მათ ქვემდებარე საქმედ შეიძლება იქნას განხილული.

# რუსეთის გენერალური პროკურატურის დელეგაცია „დაიკარგა„

პირველი გვერდიდან

განცხადებები აღარ გაუკეთებიათ. სამაგიეროდ, საქართველოს სრულიად საიდუმლოდ ეწვია რუსეთის გენპროკურატურის მორიგი დელეგაცია. მათი ვიზიტის შესახებ პირველი განცხადება უშიშროების საბჭოს მდივნის, თედო ჯაფარიძის მხრიდან გაჟღერდა. მოგვიანებით დასახელდა დელეგაციის ხელმძღვანელის ვინაობაც – გიორგი წურწუმია, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ ქართველ სამართალდამცველთა რიგებში იდგა. ამის შემდეგ წურწუმიას და მისი დელეგაციის კვალი უკვე იკარგება. უშიშროების სამინისტროში აცხადებენ, რომ ჩეჩნების ექსტრადიციის შესახებ ყველა საკითხის გადაწყვეტა გენერალურ პროკურატურას გადაულოცეს, გენერალური პროკურორის მოადგილე ვენედი ბენიძე კი, რომელიც უცხოეთთან ურთიერთობას კურირებს და უშუალოდ ეხება ექსტრადირების პრობლემები, გუშინ საღამოს აცხადებდა, რომ წურწუმია და მისი დოკუმენტები თვალით არ უნახავს. რაც შეეხება 13 ჩეჩენს, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ ქართული კანონებით გასამართლდნენ და სასჯელიც ქართულ ციხეში მოიხადონ, ვენედი ბენიძის თქმით, მათ ექსტრადირებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, გიორგი წურწუმიამ რუსეთიდან ჩამოიტანა გენერალური პროკურატურის ოფიციალური წერილი, რომელშიც ის უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფს ერთობლივ თანამშრომლობას სთავაზობს.

როგორც მოგახსენეთ, გუშინ საღამოსთვის სრულიად გაურკვეველი გახლდათ, ვის შესთავაზეს ამგვარი თანამშრომლობა. თუმცა, გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ქართველმა სამართალდამცევლებმა ყოველგვარი თხოვნის გარეშე, კეთილი ნებით ითანამშრომლეს რუს კოლეგებთან და მათ დაკავებული ჩეჩნების საიდენტიფიკაციოდ გამოძიების ხელთ არსებული ყველა მონაცემი და პატიმართა ფოტოები გაუგზავნეს.

უშიშროების მინისტრის მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილის თქმით, საქართველო არანაირ ხელოვნურ პრობლემებს არ შეუქმნის რუსეთს ჩეჩნების ექსტრადირებაში, ოღონდ, რუსმა სამართალდამცველებმა იდენტიფიკაცია უნდა მოახდინონ და დაადასტურონ, რომ ისინი რუსეთში იძებნებიან.

**"წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სასჯელს საქართველოში მოიხდიან",** -- განაცხადა ლაშა ნაცვლიშვილმა.

# ხონის კოლონიაში პირობები გაუმჯობესებულა

თამარ კაციტაძე

თავის დროზე ავჭალის კოლონიიდან, ანუ ეგრეთ წოდებული "წითელი ზონიდან", სადაც სასჯელს ყოფილი პოლიციელები თუ სამხედრო მოსამსახურეები იხდიან, პატიმართა ხონის N 9 სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებაში გადაყვანის წინააღმდეგნი იყვნენ როგორც იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი კონტროლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრები, ასევე თავად პატიმრებიც. ეს უკანასკნელნი პროტესტის ნიშნად შიმშილობდნენ კიდეც. მიუხედავად ამისა, ისინი დღეს უკვე ხონში იმყოფებიან. იქ შექმნილ პირობებზე კი საზოგადოებაში სხვადასხვა აზრი ვრცელდება: ერთნი ამტკიცებენ, რომ პატიმრები გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან, მეორენი კი კოლონიაში არსებულ მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ.

ობიექტურობის დადგენის მიზნით, ხონის მეცხრე კოლონიას იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი კონტროლის საბჭოს წარმომადგენლები: არასამთავრობო ორგანიზაციების - "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამინის უფლებებისათვის" წევრები ნანა კაკაბაძე და გელა ნიკოლაიშვილი, "ახლგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე თინათინ ხიდაშელი, "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრი სოზარ სუბელიანი და ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველოს" წარნომადგენელი გიორგი პაპუაშვილი, ჟურნალისტებთან ერთად, ეწვივნენ.

ხონის კოლონიისკენ მიმავალ გზაზე, მართალია, ორმოები ამოვსებული დაგვხვდა, მაგრამ მათი გადალახვა მსუბუქი მანქანით მაინც შეუძლებელია. შვიდიოდე კილომეტრზე ერთსაათიანი მოგზაურობის შემდეგ დაწესებულებამდეც მივაღწიეთ, სადაც ერთ დროს მოშიმშილე პატიმრები აშკარად ბედთან შეგუებულნი დაგვხვდნენ და უკვე შედარებით გამოსწორებულ საყოფაცხოვრებო პრობლემებზეც აღარ წუწუნებდნენ. "დაწესებულებას ელექტროენერგია 24 საათის განმავლობაში მიეწოდება, შედარებით მოწესრიგებულია კვების პრობლემაც. რაც შეეხება დასალევ წყალს, იგი კვლავ ბიდონებით მოაქვთ, რადგან აქაურ ჭაში წყალი არ არის. ახლა დასრულდა მეორე ჭის გათხრა, სადაც წყალი კი ამოვიდა, მაგრამ ვიდრე მისი ვარგისიანობა ლაბორატორიული შემოწმებით არ დადასტურდება, მანამდე არ მოგვეწოდება", – დაახლოებით ასე აღწერს კოლონიაში არსებულ მდგომარეობას თითქმის ყველა პატიმარი, რომლებსაც ყველაზე მეტად გათავისუფლების პრობლემა აწუხებთ.

გურამ ქათამაძე: **"დაწესებულებაში 17 მეომარი პატიმარი ვართ, რომლებსაც მკვლელობაში არ გვედება ბრალი. აქედან გამომდინარე, 2000 წლის 20 აპრილის პრეზიდენტის ცნობილი შეწყალება მაშინვე უნდა შეგვხებოდა. სხვათა შორის, პროკურორიც ამავეს გვეუბნებოდა, მაგრამ, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზის გამო, შეწყალების კომისიამ გათავისუფლებაზე უარი გვითხრა და დღემდე არ გვათავისუფლებენ. რა პრინციპით მუშაობს შეწყალების კომისია, ვერ ვხვდებით, ხშირად პატიმარი ვადამდე თავისუფლდება, ისინი კი გვწერენ, ჯერჯერობით გათავისუფლებას არ ექვემდებარებითო. ვინც ავტორიტეტები იყვნენ, ყველა გაუშვეს, ჩვეულებრივ, ნამდვილ მეომრებს კი ყურადღებას არავინ აქცევს".**

გათავიუფლების პრობლემა აქვთ იმ პატიმრებსაც, რომლებიც საქართველოს საზღვრის დაცვისთვის იბრძოდნენ, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზის გამო, შესაბამისი დოკუმენტები არ გააჩნიათ.

**"მეომრები რომ ვიყავით, იმიტომ გადმოგვიყვანეს ამ კოლონიაში, ახლა გვეუბნებიან, თქვენს საქმეებში დოკუმენტები არ არის და სასამართლოს მიმართეთო. კანონით, სასამართლოში ორმა მოწმემ უნდა დაადასტუროს, რომ ომში ნამდვილად ვიბრძოდით, მაგრამ 200-300 დოლარს გვთხოვენ. ეს თანხა ჩვენს ოჯახებს რომ ჰქონდეთ, ისედაც გაგვათავისუფლებდნენ",** – შესჩივლეს ადამიანის უფლებების დამცველებს პატიმრებმა.

საბჭოს წევრებს პატიმართა სხვა პრობლემების მოსმენა და მათთვის განმარტებების მიცემაც მოუხდათ. თუმცა, სექტემბრამდე, ვიდრე შეწყალების კომისია მუშაობას არ დაასრულებს, გათავისუფლებაზე რეალურად არაფერს შეჰპირებიან.

N 9 დაწესებულებიდან დაბრუნებილი სტუმრები კოლონიაში არსებულ მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად აფასებენ, ნანა კაკაბაძემ კი ჩვენთან საუბარში აღნიშნა:

**"ვფიქრობ, რომ გზის პრობლემა მაინც არის, რადგან ეს, ფაქტობრივად, მიუდგომელი ტერიტორიაა, არ მოძრაობს სამოქალაქო ტრანსპორტი, პატიმართა ოჯახის წევრები იძულებულნი არიან, დაიქირაონ კერძო მანქანა. სხვათა შორის, ერთმა პატიმარმა თქვა კიდეც - უკვე დამენგრა ოჯახი და ახლა გინდ გაუკეთებიათ გზა და გინდა არაო. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო პირობებს, თავად პატიმრები ისე აღარ უჩივიან, ამბობენ, რომ საგრძნობი გაუმჯობესება შეიმჩნევა. თუმცა, მაინც მიმაჩნია, რომ დეპარტამენტი იქ პატიმრებს არ უნდა ამყოფებდეს, რადგან თითოეული პატიმრის შენახვა ათმაგი უჯდება".**

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# დაბალანსების პოლიტიკა და ახალი ქართველი ფეოდალები

პირველი გვერდიდან

იგივე ნადარეიშვილის ფრაზებს დავუკვირდეთ - "ჩემი უზენაესი საბჭო", "ჩემი დეპუტატები", "ჩემი მოადგილეები". ასლან აბაშიძე ასე პირდაპირ თავის პიროვნულ მომენტს არ წარმოაჩენს ხოლმე, მაგრამ გაცილებით საშიშ ხერხს მიმართავს – საკუთარი პერსონის და აჭარის გაიგივებას. ამიტომაც ყოველი კრიტიკა აბაშიძის მიმართ კვალიფიცირდება, როგორც აჭარის წინააღმდეგ მიმართული ქმედება. ნადარეიშვილი რომ დღეს სოხუმში იყოს და იქ ეპყრას ძალაუფლების სადავეები, ალბათ, ისიც ამ ტაქტიკას გამოიყენებდა. ამიტომაც დებატებში უკვე მეტად საშიში ფრაზები გაისმის. მაგალითად: **"აბაშიძემ ჯერ აჭარა შემოუერთოს საქართველოს", "აფხაზეთის ქართველობა არაფერს აკეთებდა ომის დროს", "მეომრები მხოლოდ ბანდიტობდნენ"** და ა.შ. ზოგი იმასაც იხსენებს, რომ ის ადამიანი, ვინც დღეს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაზეა პასუხისმგებელი, სოხუმის დაცემის დღეებში, საბრინას კონცერტებს მართავდა. პროცესი თუ ასე გაგრძელდა, სიტყვიერი დაპირისპირება ისე გადაიზრდება სხვა ტიპის დაპირისპირებაში, რომ ძალზე ძნელი განსასაზღვრი იქნება, როდის გადაილახა საბედისწერო ზღვარი.

ეს მოვლენები მხოლოდ ერთი ნაწილია იმ დეზინტეგრაციული პროცესისა, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი სხვა ადგილობრივი მმართველები. შუა საუკუნეების რეგიონული ლიდერის გათანამედროვებულ სქემაში კარგად თავსდება თემურ შაშიაშვილიც. არც მისთვისაა უცხო პიროვნული მოტივების დომინირება მრავალრიცხოვან საჯარო გამოსვლებში. თუმცა, გარკვეულ ეტაპამდე ეს არც თუ ისე სერიოზულად გამოიყურებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რწმუნებული უკვე საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე გადაერთო და პარტიზანულ ომებზე ალაპარაკდა, სიტუაცია შეიცვალა. შაშიაშვილი, რომელიც



თემურ შაშიაშვილი

უკვე 10 წელიწადია რეგიონს მართავს, მუდმივად ცდილობს დაპირისპირებული ძალების გამოაშკარავებას. ბოლო დროს იგი, არც თუ იშვიათად, უკვე იმერეთის სახელითაც საუბრობს. მის გამოსვლებში ხშირად იგრძნობა დაუფარავი ამბიცია, თუნდაც მაშინ, როდესაც ისეთივე შეღავათებს მოითხოვს, როგორიც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს (ამ შემთხვევაში აჭარის სრული დასახელებით წარმოდგენას პრინციპული საკითხია).

კიდევ ერთი "გამორჩეული" რეგიონული მმართველია ლევან მამალაძე. მისი ფრაზეოლოგიაც ბევრად არ განსხვავდება ზემოთ მოხსენიებული ლიდერებისგან, თუმცა, მას ერთი, კიდევ უფრო სერიოზული კოზირი უჭირავს, რასაც აზერბაიჯანული ფაქტორი ჰქვია. უნდა აღინიშნოს, რომ მამალაძე ამ კოზირს მშვენივრად იყენებს. ხშირ შემთხვევაში, მისი გამოსვლები აზერბაიჯანელებით შანტაჟირებას უფრო ჰგავს, ვიდრე იგივე აზერბაიჯანელებზე ზრუნვას.

"ახალ ქართველ ფეოდალთა" ნუსხა ამ ეტაპზე მხოლოდ ამით შე-



ლევან მამალაძე

მოიფარგლება. მათი "სამფლობელოების" გეოგრაფიული მდებარეობის და ისტორიის გათვალისწინებით, მოვლენების განვითარება საშიშ ფორმებს უკვე იღებს. ბუნებრივია, ასეთი დაპირისპირება ვერც აფხაზებს და ვერ ოსებს ვერ გაუღვივებს სურვილს, საერთო ქართულ სახელმწიფოს შემოუერთდნენ. ის, რაც დღეს ხდება, მათთვის სრულიადაც ვერ იქნება ვერც მომხიბვლელი და ვერც მიმზიდველი.

მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველაფერის თავი და თავი ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეა. სხვათაშორის, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ასეთი ტიპის პროცესებს ქვეყნის მმართველები რეგიონებში თავისი პირადი წარმომადგენლების დანიშვნით ებრძვიან. თუნდაც, იგივე რუსეთი ავიღოთ: იქ ელცინის მმართველობის ბოლო წლები ადგილობრივი მმართველების თავაშვებულობით გამოირჩეოდა. სიტუაცია კონტროლირებადი მხოლოდ მას შემდეგ გახდა, რაც პუტინმა პრეზიდენტის წარმომადგენლის ინსტიტუტი შემოიღო. მათთვის უპირველეს ამოცანად იქცა ადგილებზე ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება. საქართველოს პარადოქსი კი ის არის, რომ ჩვენთან ასეთ დაპირისპირებებში სწორედ პრეზიდენტის დანიშნული რწმუნებულები თუ წარმომადგენლები ანუ იგივე შევარდნაძის მოადგილეები მონაწილეობენ.

ამას მხოლოდ ორი ახსნა თუ მოეძებნება: ან პრეზიდენტი ვერ საზღვრავს, ვინ სად უნდა დანიშნოს, ან თავად პრეზიდენტი უწყობს ამ ყველაფერს ხელს თავისი პირადი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის. თუ რწმუნებულების მოღვაწეობის სტაჟს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ პრეზიდენტს საკმაოზე მეტი დრო ჰქონდა, რათა მათი მოღვაწეობა გაეანალიზებინა და შესაბამისი ზომებიც მიეღო. მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო მეორე ფაქტორთან გვაქვს საქმე. შევარდნაძის ცნობილი დაბალანსების (უფრო მარტივად რომ ვთქვათ, დაპირისპირების გაღვივების და მერე აქედან სარგებლის ნახვის) პოლიტიკა უკვე დიდი ხანია, გასცდა მარტოოდენ პოლიტიკური ბრძოლის საზღვრებს და რეგიონული სახე მიიღო. მართვის ასეთი საშიში სტილი პრეზიდენტისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი აღმოჩნდა. ამიტომაც არის, რომ წლები გადის და არც რეგიონულ მოწყობაზე ფიქრობს ვინმე სერიოზულად და არც ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებების კანონით გამიჯვნაზე. ფაქტობრივად, ყველა სფეროში ერთნაირი სიტუაციაა – არაფერი კეთდება სახელმწიფოს განვითარებისათვის აუცილებელი ინსტიტუციონალური ბაზის შესაქმნელად. ყველაფერს პირადად პრეზიდენტი წყვეტს, მის ირგვლივ შექმნილი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. მაგრამ არ შეიძლება, ასე დიდ ხანს გაგრძელდეს. სისტემა, რომლის საყდენი მხოლოდ ერთი პიროვნებაა, ამ პიროვნების წასვლისთანავე დაიშლება და ნანგრევებში ბევრს მოიყოლებს. შევარდნაძის პრეზიდენტობის ვადის გასვლამდე კი მხოლოდ ოცდაათი თვე რჩება.

# საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის პრესტიჟი ერთ მილიონ დოლარად არ უღირს

პირველი გვერდიდან

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, საქართველოს არ აქვს გადახდილი არა მხოლოდ შედარებით მეორეხარისხოვანი (დავარქვათ "ნაკლებად მოგებიანი") საერთაშორისო ინსტიტუტების, არამედ იმ სტრუქტურათა საწევროებიც, რომელთა მხრიდან მხარდაჭერაც საქართველოსთვის მეზობელ სახელმწიფოებთან, მათ შორის, რუსეთთან, გართულებულ ურთიერთობაში თუ შიდატერიტორიულ კონფლიქტებში გადამწყვეტი გახლავთ.

2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის შესაბამისად, სახსრების სიმცირის გამო იგეგმება, რომ წლის თანხა სრულად მხოლოდ გაეროში გადაირიცხოს. 2000 წელს საქართველომ თავზე აიღო გაეროსადმი 1992 წლიდან მოყოლებული დავალიანებების დაფარვა. ამ დროისთვის საქართველოს დავალიანება გაეროსადმი 7 მილიონ 251 ათას 44 აშშ დოლარს შეადგენდა. 2000 წელს ამ დავალიანების დასაფარად გაეროს მუდმივმა წარმომადგენლობამ ხელისუფლებას 6-წლიანი გრაფიკი შესთავაზა, რომლის თანახმადაც საქართველოს 2000 წელს დავალიანების 10 პროცენტი, ანუ 725 ათას დოლარამდე უნდა დაეფარა. 2000 წელს საქართველომ სულ 80 ათასი დოლარი გადაიხადა. 2001 წელს შემუშავდა ახალი შვიდწლიანი გრაფიკი, თუმცა 2001 წელს პირველი შენატანის ნაწილობრივ დაფარვის შემდეგ, ისიც საბერძნეთის მიერ გამოყოფილი ტექნიკური გრანტის წყალობით, ქვეყანას გაეროსთვის თანხა აღარ გადაუხდია.

გაეროს წესდების მეცხრამეტე მუხლის თანახმად, გაეროს წევრი ქვეყანა კარგავს ხმის უფლებას, თუ ორგანიზაციის მიმართ მისი დავალიანება უთანაბრდება ან აღემატება ამ ორგანიზაციაში წინა ორი წლის გადასახადის თანხას. რა თქმა უნდა, საქართვლო უკვე, კარგა ხანია, ასცილდა ამ ზღვარს და თუ ხმის უფლება კიდევ შეგვრჩა, მხოლოდ კონტრიბუციების კომიტეტში, საფინანსო და საბიუჯეტო მეხუთე მთავარ კომიტეტსა და გენერალურ ასამბლეაზე ქვეყნების დელეგაციის მხარდაჭერით.

განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ევროსაბჭოსთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც საქართველომ დიდის წვალებით შეგლიჯა ევროსაბჭოს კარი და "მაშასადამე, ევროპელებიც" გავხდით, საქართველოს ამ ორგანიზაციისათვის არანაირი საწევრო გადასახადი არ გადაუხდია. შედეგად, საქართველოს დავალიანება ევროპის საბჭოსადმი, 2002 წლის ჩათვლით, 461 ათას 331 ევროს შეადგენს.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭო და ეუთოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეა, რომელიც სულ რამდენიმე კვირის წინ გადაიქცა ქართული და რუსული საპარლამენტო დელეგაციების შეტაკების ასპარეზად და რომელმაც ორიოდე დღის წინ რუსეთის მიერ საქართველოს დაბომბვის ფაქტები დაადასტურა, საქართველოს მხრიდან საწევროს გადახდის ღირსად ასევე ვერ იქცა. ეუთოსადმი საქართველოს დავალიანებამ 2002 წლისთვის უკვე 840 ათას 433 ლარი შეადგინა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ვალი, რომელში შესვლაც საქართველოს დაუსრულებელ დებატებად და ნერვების წყვეტად დაუჯდა, დღეისთვის 14 ათას 245 აშშ დოლარს შეადგენს, ისიც, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა სულ ორიოდე წელია, მსო-ს წევრია.

4 მილიონი დოლარის საწევროა გადასახდელი იუნესკოსთვის, 1 მილიონ 369 ათასის - შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისთვის და ა.შ. და ა.შ.

ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს. გუშინ სააგენტო "კავკას-პრესის" მიერ, საგარეო საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით, გავრცელებული ინფორმაცია "ქართული გამოსავლის" შესახებ, კერძოდ, "ნაკლებმომგებიან ორგანიზაციებზე" უარის თქმის თაობაზე, დაგვეთანხმეთ, ძალიან მძიმე პერსპექტივის შთაბეჭდილებას ტოვებს.

## ეკონომიკა

# იაპონია გადასახადების შემცირებას ელის

თორნიკე შარაშენიძე

იაპონიის ფინანსთა მინისტრის განცხადებით, მომავალ წელს ქვეყანაში გადასახადების მოცულობა, დაახლოებით, ერთი ტრილიონი იენით (8,4 მილიარდი დოლარი) უნდა შემცირდეს. ამ ნაბიჯით ტოკიო დამატებით სტიმულს მისცემს ადგილობრივ ეკონომიკას, რომელიც, უკვე რამდენიმე წელია, სერიოზულ კრიზისში იმყოფება. ეს განცხადება ერთი დღის შემდეგ მოჰყვა პრემიერ კოიძუმის მიერ ბიუჯეტის პროექტის შეთავაზებას, რომელშიც გადასახადების შემცირება გათვალისწინებული არ იყო და ამან უმწვავესი კრიტიკა გამოიწვია. სწორედ ამ კრიტიკის საპასუხოდ გამოვიდა ფინანსთა მინისტრი შიოკავა, რომელმაც ყველა დაარწმუნა, რომ გადასახადები აუცილებლად შემცირდება.

"ზოგიერთი გადასახადი გაიზრდება, მაგრამ ზოგიერთი შემცირდება და, საბოლოო ჯამში, შემცირება ტრილიონს შეადგენს," – განაცხადა შიოკავამ. მისი თქმით, მთავრობა გამონახავს სახსრებს, რითაც შექმნილი გარღვევა დაიფარება. კერძოდ, გამოშვებულ იქნება ობლიგაციები და მოხდება სახელმწიფო ქონების ნაწილის პრივატიზაცია.

დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრით, გადასახადების შემცირების გარეშე იაპონიის კრიზისიდან გამოსვლა წარმოუდგენელია. ამომავალი მზის ქვეყნის საბიუჯეტო დეფიციტი მისი მთლიანი შიდა პროდუქტის 140 პროცენტს შეადგენს. ასეთი სავალალო მაჩვენებელი სხვა არც ერთ წამყვან სახელმწიფოს არა აქვს.

გადასახადების შემცირება იაპონიაში, ბოლო წლების განმავლობაში, პირველად არ ხდება. ეკონომისტთა შეფასებით, ამას ყოველთვის დადებითი შედეგი მოსდევდა, თუმცა, ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად ეს საკმარისი ნამდვილად არ იყო, რაც სულაც არ არის გასაკვირი. იაპონია ხომ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ექსპორტზე და მისი კრიზისიდან გამოსვლა მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ეკონომიკური ვითარება გლობალური მასშტაბით გაუმჯობესდება და იაპონურ საქონელზე მოთხოვნილება გაიზრდება.

შიოკავასა და მისი კოლეგების თქმით, გადასახადების შემცირება ორი მიმართულებით განხორციელდება. ერთი ახლო მომავალზე იქნება გათვლილი და გამოიხატება კაპიტალდაბანდებებზე გადასახადის შემცირებით. მეორე, უფრო შორეულ პერსპექტივიანი, საკორპორაციო გადასახადების შემცირებას ითვალისწინებს. ამ უკანასკნელმა უნდა შეანელოს კომპანიათა საზღვარგარეთ გასვლის ტენდენცია და უფრო მოგებიანი გახადოს ქვეყნის შიგნით ბიზნესი.

შიოკავას თქმით, იგი დიდ იმედებს ამყარებს თავის გეგმაზე. მან იქვე მოიწონა პრეზიდენტი ბუშის მიერ 11 სექტემბრის შემდეგ გადასახადების შემცირება, რისი სასიკეთო გავლენაც აშშ-ს ეკონომიკას მალე დაეტყობა. "აშშ-ს ეკონომიკა გაცილებით უფრო მტკიცეა, ვიდრე ეს შეიძლება, უოლ სტრიტზე გამეფებულმა ქაოსმა გვაფიქრებინოს, - ამბობს მინისტრი, - ეს მეტად დამაიმედებელია ჩვენთვის, რადგან აშშ იაპონიის უმთავრესი სავაჭრო პარტნიორია."

# ევროპულმა ნავთობკომპანიებმა ლიბიაში შეაღწიეს

ევროპული ნავთობკომპანიების კონსორციუმმა ლიბიასთან 155-მილიონიან კონტრაქტს გამოჰკრა ხელი. შეთანხმების მიხედვით, ესპანური "რეპსოლი," ფრანგული "ტოტალფაინალელფი," ავსტრიული "ოემვე" და ნორვეგიული "საგა პეტროლიუმ მაბრუკი," ლიბიის ეროვნულ ნავთობკომპანიასთან ერთად, აითვისებენ ქვეყანაში ახლადაღმოჩენილ საბადოს, მურზუკის აუზს, რომელიც სპეციალისტთა გათვლებით უკვე 2004 წლიდან დღეში 400 ათას ბარელს მოიტანს.

გარიგება კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ლიბიის ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს გარე სამყაროსთან საქმიანი კავშირების დასამყარებლად. კონსორციუმთან ხელშეკრულების დადების პარალელურად, ქვეყანა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენისათვის ემზადება – პოლკოვნიკი მუამარ ყადაფი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, მაიკ ო`ბრაიენს მიიღებს. ლიბიის ლიდერი, ალბათ, ყველაფერზე წავა, რათა სტუმარი დაარწმუნოს, რომ მისი ქვეყანა საიმედო სავაჭრო პარტნიორი იქნება.

სავარაუდოდ, ო`ბრაიენთან საუბარი, ძირითადად, ისევ ნავთობის შესახებ იქნება, მით უმეტეს, რომ ბრიტანეთში ისეთი ნავთობკომპანიებია, როგორებიცაა "როიალდაჩ შელი" და "ბრიტიშ პეტროლიუმი." 1999 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც გაერომ ყადაფის რეჟიმის წინააღმდეგ სანქციები შემოიღო, ქვეყანა ყოველნაირად ცდილობს უცხოელ კომპანიათა მიზიდვას და მზადაა, ენერგოსექტორში 10 მილიარდი დოლარის ინვესტიცია მიიღოს. თუმცა, მურზუკთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულება რიგით მხოლოდ მეექვსეა და ყველა კონტრაქტორი ევროპელი იყო. ამერიკულ ნავთობკომპანიებს, 1986 წლიდან მოყოლებული, ეკრძალებათ ლიბიასთან საქმიანი ურთიერთობები. თუმცა, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ევროპულ კომპანიებთან კონტრაქტების ასეთი ნელი ტემპით დადების მიზეზი, შესაძლოა, ლიბიელთა შორს მიმავალი გათვლები იყოს – ყადაფის ურჩევნია, მისი ქვეყნის ნავთობი ამერიკულმა კომპანიებმა დაამუშაონ (ამით იგი ვაშინგტონთან ურთიერთობებს გაიუმჯობესებს და თავისი რეჟიმის უსაფრთხოებისათვის რაღაც გარანტიებს მიიღებს) და ამიტომაც ცდილობს, ასე ვთქვათ, მათ "გადაუნახოს" საბადოები. მაგრამ ამერიკის მხრიდან ჯერჯერობით სანქციების გაუქმებაზე კი არა, შემსუბუქებაზეც არ მიდის საუბარი, თანაც ლიბიაშიც აცნობიერებენ, რომ სანამ ამ მხრივ რაიმე არ გამოსწორდება, ბიზნესი უნდა გაკეთდეს და უცხოელი ინვესტორების მოზიდვა უნდა გაგრძელდეს, განურჩევლად იმისა, ეს უკანასკნელები რომელ ქვეყანას წარმოადგენენ.

აღსანიშნავია, რომ შარშან ლიბიამ ოფიციალურად გააფრთხილა ამერიკული ნავთობკომპანიები, რომ მათ კიდევ ერთი წელი აქვთ ქვეყანაში 15 წლის წინ შეწყვეტილი ბიზნესის გასაახლებლად. ვინც მიმდინარე წელს არ დაუბრუნდება ლიბიის საბადოებს, მას ლიცენზია ჩამოერთმევა.

ცხადია, ეს მეტად მტკივნეული დარტყმა იქნება ამერიკელი მენავთობეებისათვის, რომლებმაც, სანქციების გამო, გვარიანი ზარალი ნახეს. კომპანია "კონოკო," რომელმაც ლიბიაში მოღვაწეობა 1955 წელს დაწყო, თავის დანაკარგებს 5 მილიარდ დოლარად აფასებს. მნიშვნელოვნად დაზარალდნენ "მარათონ ოილი" და "ამერადა ჰესი."

მაგრამ ჯერჯერობით ვაშინგტონი ამაზე ყურსაც არ იბერტყავს. მართალია, მურზუკის გარდა, ლიბიაში კიდევ 130-მდე აუთვისებელი საბადოა და მთლიანობაში ქვეყნის ნავთობმარაგი, დაახლოებით, 29,5 მილიარდ ბარელს შეადგენს, მაგრამ, ამ მაცდუნებელი პერსპექტივების მიუხედავად, აშშ აცხადებს, რომ სანქციების მოხსნა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ დადგეს დღის წესრიგში, თუკი ლიბია აღიარებს პასუხისმგებლობას ლოკერბის დაბომბვაზე და დაზარალებულთა ოჯახებს კომპენსაციას გადაუხდის.

რაც შეეხება გაეროს, მან ნაწილობრივ მოუხსნა ლიბიას სანქციები, მას შემდეგ, რაც კადაფი დათანხმდა შოტლანდიური მართლმსაჯულებისათვის გადაეცა ლოკერბის ტრაგედიაში (ქალაქი შოტლანდიაში, სადაც, სავარაუდოდ, ლიბიელ ტერორისტთა გამოისობით ჩამოვარდა თვითმფრინავი) ეჭვმიტანილი ორი პირი.

# Global Crossing-ი ჩალის ფასად იყიდეს

სატელეკომუნიკაციო კომპანია Global Crossing-ს, რომლის 2002 წლის იანვარში გაბანკროტება ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურად იყო მიჩნეული, Hatchinson Whampoa Limited-ი (ჰონგკონგი) და Singapore Technologies Telemedia Pte. Ltd-ი ყიდულობენ.

როგორც "როიტერი" იტყობინება, გარიგების თანახმად, ეს კომპანიები Global Crossing-ის აქციების 61.5 პროცენტს 300 მილიონ დოლარად მიიღებენ. გარდა ამისა, გამოშვებული იქნება 200 მილიონი დოლარის ღირებულების საშუალო ვადიანი ობლიგაციები. აღსანიშნავია, რომ ადრე აზიელი ინვესტორები Global Crossing-ს 750 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ, მაგრამ გაკოტრებული კომპანიის კრედიტორებმა ამ წინადადებაზე უარი თქვეს, რადგან მიაჩნდათ, რომ კომპანიის ფასი გაცილებით მაღალი იყო. ამჟამად, Global Crossing-ის აქტივები 22.4 მილიარდ დოლარად არის შეფასებული, დავალიანება კი – 12.4 მილიარდ დოლარად.

ბანკებმა, რომლებმაც თავის დროზე Global Crossing-ს 2.55 მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტები მისცეს, დასახელებულ 300 მილიონს მთლიანად მიიღებენ. გარდა ამისა, მათ 175 მილიონი დოლარის ობლიგაციებიც და კომპანიის ექვსპროცენტიანი წილიც ერგებათ. Global Crossing-ის ობლიგაციების მფლობელები მიიღებენ 25 მილიონი დოლარის ღირებულების ახლადგამოშვებული ობლიგაციების დანარჩენ ნაწილს, მაგრამ მათი წილი კომპანიაში 32.5 პროცენტს შეადგენს.

## უცხოეთი

# ერაყზე სამხედრო დარტყმა, შესაძლოა, წელს არ განხორციელდეს

აშშ-ს პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის განცხადებით, ერაყზე სამხედრო დარტყმის განხორციელება ამ წელიწადში აუცილებელი არ არის. პრეზიდენტის თქმით, მას ამ საკითხის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. "ასეთი გადაწყვეტილება რომც მიმეღო, თქვენ არ გეტყოდით," - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

ერაყის საკითხთან დაკავშირებით, პარასკევს გამოქვეყნდა აშშ-ში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც ამერკელთა ორი მესამედი ერაყზე სამხედრო დარტყმის განხორციელებას მხარს მხოლოდ კონგრესის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დაუჭერს. გამოკითხულთა ორმა მესამედმა ასევე განაცხადა, რომ აშშ-მა ერაყში ოპერაციის დაწყებამდე თავისი მოკავშირეებისგან მყარი გარანტიები უნდა მოიპოვოს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები მოუთმენლად ელოდებიან ერაყის ოპოზიციური დაჯგუფებების ლიდერთა ვიზიტის დასრულებას აშშ-ში. დღეს ისინი ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის უნდა შეხვდნენ. ჩეინი ამჟამად საზაფხულო შვებულებას თავის მშობლიურ შტატ ვაიომინგში, რანჩოში ატარებს. ამდენად, მისი შეხვედრა ერაყელ ოპოზიციონერებთან საიმედოდ დაცული სამთავრობო ვიდეოკავშირით ჩატარდება. აშშ-ს ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლის, შონ მაკორმაკის განცხადებით, ერაყის ოპოზიციის ლიდერებთან აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის "ვიდეოკონფერენცია" მიზნად ისახავს "სადამ ჰუსეინის ოპოზიციის გაძლიერებას ბაღდადის რეჟიმის წინააღმდეგ."

თავად ერაყელი ოპოზიციონერები საკმაოდ იმედიანად არიან განწყობილნი და აშშ-ს ადმინისტრაციის მხრიდან დიდ მხარდაჭერას ელიან. ისინი ასევე გეგმავენ, ევროპაში შეხვდნენ იმ ერაყელ ემიგრანტებს, რომლებიც ჰუსეინის რეჟიმს სამშობლოდან გამოექცნენ.

# თურქეთის ეკონომიკის მინისტრმა თანამდებობა დატოვა

თურქეთის ეკონომიკის მინისტრმა, ქემალ დერვისმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. იგი მემარცხენე ცენტრისტული პარტიის შექმნას და 3 ნოემბერს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს. **"მე ვიმუშავებ მემარცხენე ცენტრისტული ძალების გასაერთიანებლად, რის შემდეგაც ჩვენი ძალებით არჩევნებში გამარჯვებას ვგეგმავთ,"** - განაცხადა დერვისმა. მის თქმით, ეს გაერთიანება ხელს შეუწყობს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას. **"მისურვეთ წარმატება,"** - დასძინა მან. წინასწარი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებით, საპარლამენტო არჩევნებში 10-პროცენტიანი ბარიერის გადალახვა ბევრ პარტიას გაუჭირდება.

ვაშინგტონი იმედოვნებს, რომ არჩევნებში ძლიერი პროდასავლური ძალები გაიმარჯვებენ, რაც აშშ-ს ძალზე ესაჭიროება ერაყზე სამხედრო დარტყმის გასახორციელებლად.

# ისრაელი ერაყის მხრიდან სარაკეტო დარტყმების მოსაგერიებლად ემზადება

ისრაელის არმიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს ცნობა, ქვეყნის ცენტრში, ქალაქ ხადერასთან ახლოს, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის - Arrow-2-ის განთავსების შესახებ. აღნიშნულ სისტემას ბალისტიკური რაკეტების განადგურება შეუძლია. Arrow-2-ის ასეთივე აღჭურვილობა ქვეყნის სამხრეთშიცაა განთავსებული. "ბი-ბი-სის" ინფორმაციით, ეს ღონისძიება ერაყიდან შესაძლო თავდასხმის აღსაკვეთადაა გამიზნული. როგორც ცნობილი გახდა, ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები ერაყზე სარაკეტო კონტრდარტყმების გეგმასაც ამუშავებენ. 1991 წელს, სპარსეთის ყურის ომის დროს, აშშ-მა ისრაელს ერაყზე სარაკეტო დარტყმების განხორციელების ნება არ მისცა. ვაშინგტონი იმ პერიოდში შიშობდა, რომ ამგვარი აქცია უარყოფითად იმოქმედებდა ანტიერაყულ კოალიციაზე, რადგან ამ კოალიციაში არაბული ქვეყნებიც შედიოდნენ.

# არქეოლოგები საქართველოში უდიდესი აღმოჩენების მოლოდინში არიან

## საგარეჯოს ველზე - მლაშე ტბების მიდამოებში, მიწის ქვეშ, კავკასიის უძველესი ცივილიზაციაა დამარხული

მაია ჩიქვაიძე



გერმანელი არქეოლოგების მიერ შედგენილი აეროფოტო - რუკა

### "ნაომარის გორა"

მეცნიერებს ხელთ აქვთ ციხე-ქალაქების რუკები და მიწით დაფარული ნაგებობების ზუსტი პარამეტრები. უძველესი ქალაქები შემაღლებულ ბორცვებზე მდებარეობს და, არქეოლოგთა აზრით, წინასწარი გეგმის მიხედვით არის გაშენებული, გარშემორტყმულია ორმაგი და სამმაგი გალავნებით. სამივე ქალაქში არის ციტადელი და სამლოცველო.

ყველაზე დიდი ქალაქი ე.წ. "ნაომრის გორაზე" მდებარეობს. გეგმით იგი თავკომბალას წააგავს: მთავარი, ოვალური ფორმის ნაწილიდან გრძელი და ვიწრო კუდი გამოდის, რომელიც პარალელურად ჩამწკრივებული ნაგებობებისგან შედგება. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის რეგიონული განყოფილების უფროსი, კიაზო ფიცხელაური მიიჩნევს, რომ ეს "კუდი" ქალაქის საწყობებია, სადაც პროდუქტებსა და ნედლეულს ინახავდნენ. ნაომრის გორის ქალაქის ზომებია 200 მX80 მ. დამცავი გალავნის სიგრძე კი 9 მეტრს აღწევს. ამ ქალაქის სამლოცველოს გათხრისას აღებული ნახშირის ნიმუშები არქეოლოგებმა დასათარიღებლად ჰაიდელბერგში გაგზავნეს. ლაბორატორიულმა კვლევამ ნიმუშები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-11 საუკუნით დაათარიღა. კიაზო ფიცხელაურის აზრით, ქალაქებქვეშ, შესაძლოა, უფრო ძველი კულტურული ფენებიც იყოს.

არქეოლოგებმა ქალაქებს პირობითად უდაბნოები უწოდეს და დანომრეს.

უდაბნოს ქალაქები 80-იან წლებში, აეროფოტოგადაღებების საშუალებით აღმოაჩინეს. მოგვიანებით, აღმოჩენით გერმანელი არქეოლოგები დაინტერესდნენ და ქართველებს მიწისქვეშა ნაშთების კვლევის ახალი მეთოდი - გეომაგნიტური პროსპექცია შესთავაზეს. ეს მეთოდი დედამიწის ზედაპირზე მაგნიტური ველის სკანირებას გულისხმობს და კომპიუტერის საშუალებით დამარხული მატერიალური ნაშთების ფორმას, პარამეტრებსა და მდებარეობის სიღრმეს ზუსტად ადგენს.

გერმანულმა ფირმა GGH-მ საგარეჯოს ველზე მაგნიტური ველის სკანირება ჩაატარა და უდაბნოს ქალაქების რუკები შეადგინა, რაც არქეოლოგებს საშუალებას მისცემს, ზუსტად განსაზღვრონ გათხრის ადგილი და სიღრმე.

ქართულ-გერმანული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია სამუშაოების დაწყებას აგვისტოში აპირებს. საქართველოში უნდა ჩამოვიდეს თურქეთში, ქალაქ ტროას ექსპედიციის ხელმძღვანელი მანფრედ კორფმანი, რომელთან ერთად არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის განყოფილებამ შეიმუშავა პროექტი სახელწოდებით "ტროა-უდაბნო". გათხრების დაფინანსებას გერმანული მხარე კისრულობს კონცერნ "დაიმლერ ბენცის" მიერ ტროას ექსპედიციისთვის გამოყოფილი თანხის ნაწილით.

მაგრამ ქართულ-გერმანული პროექტის განხორციელება, გარკვეულ მიზეზთა გამო, ფერხდება. მთავარი პრობლემა უდაბნოს ტერიტორიასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ინტერესთა კონფლიქტია: საგარეჯოს ველი იჯარითაა გაცემული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. მთავარი მოიჯარე საგარეჯოს სოფლის მეურნეობის განყოფილების ყოფილი უფროსი დუღაშვილი გახლავთ, რომელიც ამჟამად მდიდარი ფერმერია და რაიონში დიდი გავლენით სარგებლობს. როგორც ამბობენ, "უდაბნოს" მიწები მის ახლობლებსა და ნათესავებს აქვთ დარიგებული. გერმანელი არქეოლოგები კი, სამუშაოს ნორმალური რიტმის უზრუნველსაყოფად, მყარ გარანტიებსა და უდაბნოს ტერიტორიაზე დაცვის რეჟიმის ამოქმედებას მოითხოვენ: ჩვენში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად, უდაბნოს ქალაქები ძეგლად უნდა გამოცხადდეს; ქალაქების გარშემო 30 ჰექტარის ფართის ტერიტორია - ძეგლის დაცვის ზონად. ფერმერებს კი საძოვრები და მიწები სხვაგან უნდა გამოუყონ, რასაც დუღაშვილი და მისი ნათესავები ეწინააღმდეგებიან.

### კალის გზა

ტროა-უდაბნოს პროექტი რამდენიმე წლის წინათ შემუშავდა, მაგრამ დღემდე კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებულ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს უდაბნოს დაცვის ტერიტორია არ დაუმტკიცებია. ქართველი და გერმანელი არქეოლოგები კი ერთხმად აცხადებენ, რომ უდაბნოს ქალაქები ძალზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი იქნება ქართული კულტურისა და ისტორიისთვის - ამ აღმოჩენის წყალობით საქართველო მცირე აზიის უძველესი კულტურების სისტემაში შევა.

საგარეჯოს ველის ქალაქების რეგულარული გეგმარება და პარამეტრები არქეოლოგებს აფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს განვითარებულ კულტურასთან - ცივილიზაციასთან. ცივილიზაციას კი, რომელიც სახელმწიფო აპარატსა და ორგანიზაციას გულისხმობს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინფორმაციის დაფიქსირების საშუალება - დამწერლობა.

თუ ამ ცივილიზაციის შემქმნელი ხალხი საწერად თიხის ფირფიტებს იყენებდა, დოკუმენტები მიწის ქვეშ დაუზიანებლად იქნება შემონახული. მაგრამ თუ ხის ფირფიტებზე წერდნენ, ნაკლები შანსია, ჩვენამდე რამემ მოაღწიოს - ხის შესანახად მაღალი ტენიანობაა საჭირო.

უდაბნოს ცივილიზაცია, მეცნიერთა აზრით, ურარტუსა და ხეთების კლასიკური პერიოდის სახელმწიფოების თანამედროვეა და მატერიალური კულტურის ნიმუშებსაც მცირე აზიის ამ ძლიერი კულტურების გავლენა უნდა ჰქონდეს.

უდაბნოს ქალაქებს სტრატეგიული მდებარეობა აქვს. "ნაომრის გორადან" - ზღვის დონიდან 1000 მ-ის სიმაღლეზე, თვალწინ უკიდეგანო სივრცე იშლება: აღმოსავლეთით ივრისა და შირაქის ველებია გადაჭიმული, ჩრდილოეთით საგარეჯო, გომბორისა და კავკასიონის მთები მოჩანს, სამხრეთით გარეჯის უდაბნო და რუსთავია.

მეცნიერთა აზრით, კავკასიის ამ რეგიონში მნიშვნელოვანი მაგისტრალები კვეთდა ერთმანეთს - აღმოსავლეთიდან მომავალი გზით, ჩინეთიდან, ინდოეთიდან და ავღანეთიდან, ცენტრალური აზიისა და კავკასიის გავლით, მცირე აზიისა და ეგეოსის ზღვის კულტურებში ძალზე მნიშვნელოვანი ლითონი - კალა შეჰქონდათ.

კალის გზის წყალობით, კავკასიაში, მცირე აზიასა და ეგეოსურ სამყაროში ბრინჯაოს გამოდნობის ახალი ტექნოლოგია დანერგეს: დარიშხნიანი ბრინჯაოს ნაცვლად გაცილებით უკეთესი ხარისხისა და მექანიკური თვისებების მქონე კალიანი ბრინჯაოს მიღება დაიწყეს.

კალიანი ბრინჯაოს ნაკეთობები მრავლად აღმოჩნდა ნაომრის გორის სამლოცველოსთან, სადაც, არქეოლოგთა აზრით, შესაწირავი უნდა ყოფილიყო.

ბრინჯაოს მასალის სიმრავლის მიუხედავად, უდაბნოს ცივილიზაცია ძირითადად რკინის მემადნეობაზე ყოფილა დაფუძნებული, რომელიც იმ დროისთვის სრულიად ახალი ლითონი იყო.

საგარეჯოს ველს სამხრეთით "რკინის მთები" საზღვრავს, რომელიც დღესდღეობით, რატომღაც ანალოგიური შინაარსის აზერბაიჯანული ტოპონიმით - დემურდაღის სახელწოდებით არის ცნობილი. მთებში რკინის შემცველი მადანი მოიპოვება. არქეოლოგებმა მთების მახლობლად - გარეჯის უდაბნოში ჩატარებული გათხრებისას, რკინის გამოსადნობი სახელოსნოები აღმოაჩინეს. ერთ-ერთი ქურის ქვეშ კულტურული ფენის რამდენიმე მეტრიანი შრე იყო, რაც სახელოსნოს სიძველეზე მიუთითებს.

### უდაბნოს ცივილიზაცია

ძველბერძნული წყაროები რკინის გამოდნობისა და დაფოლადების გამოგონებას შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებ ტომებს - ხალიბებს, კოლხებსა და მოსინიკებს მიაწერენ და იმასაც კი ამტკიცებენ, ხალიბურ რკინას ჟანგი არ ედებაო. ეს ტომები, მრავალი მეცნიერის აზრით, ქართველთა წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ.

უჟანგავი რკინის არსებობა ძველ დროში, არქეოლოგიური ფაქტებით არ დადასტურებულა. არქეოლოგიური ლითონების სპეციალისტის - ბადრი ამაღლობელის სიტყვით, კავკასიაში აღმოჩენილი რკინის ნაკეთობები დაჟანგულია, რაც მათ ხარისხზე მსჯელობას მეტად ართულებს.

ახალმა მასალებმა - რკინამ და ფოლადმა - რევოლუცია მოახდინა იმდროინდელ წარმოებაში და ახალ ეპოქას დაუდო სათავე.

უდაბნოს ცივილიზაციის აყვავების ხანა რკინის მემადნეობის პერიოდს ემთხვევა. საგულისხმოა, რომ ამ კულტურის განადგურება, მეცნიერთა აზრით, რკინის მიღება-დამუშავებას გამოუწვევია - სამი ათასი წლის წინათ, დღევანდელი უდაბნო უსიერი ტყით ყოფილა დაფარული, რაც მეცნიერებათა აკადემიისა და პალეონტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ მლაშე ტბების მხარეში ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურა. რკინის გამოდნობას ხის ნახშირი სჭირდებოდა. როგორც ჩანს, დიდი რაოდენობით რკინის მიღებას ტყის მასივების გაკაფვა მოჰყვა. ამან წყლის დებეტი შეამცირა. შეიცვალა ეკოსისტემა. ხალხი აიყარა და დასამკვიდრებლად სხვა ადგილის ძებნა დაიწყო.

ფიცხელაურის სიტყვით, ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნეში უდაბნოს ცივილიზაცია უკვე აღარ არსებობდა.

სად წავიდნენ ძველი მეტალურგები? ამაზე მეცნიერები მხოლოდ ვარაუდობენ. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, სწორედ "უდაბნოდან" წასულებმა დააარსეს ქალაქი მცხეთა და საფუძველი ჩაუყარეს ახალ - იბერიის სამეფოს.

სამწუხაროდ, ისტორიას არ შემოუნახავს ხსოვნა აქ მცხოვრები ხალხის შესახებ. შემორჩენილია მხოლოდ ტოპონიმი - "ნაომრის გორა", რომელიც აქ მომხდარ ტრაგიკულ ფაქტზე მეტყველებს: გორაზე ნაპოვნი სამარხის გათხრისას არქეოლოგებმა აჩეხილი მეომრების ჩონჩხები იპოვნეს - "ზოგი მეომარი წელში იყო გადაჭრილი, ზოგს თავი ჰქონდა წაცლილი," - ამბობს ფიცხელაური. გორის სამარხი გაცილებით გვიანდელი ხანით, ძვ.წ. მე-4 საუკუნით თარიღდება. ქალაქებს კი, რომელიც მომავალში მიწისგან უნდა გათავისუფლდეს, ფიცხელაურის სიტყვით, ომებისა და ნგრევის კვალი არ ეტყობა.

ჩვენი წელთაღრიცხვის საუკუნეებში უდაბნოებში, განდეგილი ბერების გარდა, აღარავინ დასახლებულა. მლაშე ტბების მხარის სამხრეთით - გარეჯში, წმინდა მამებმა სამონასტრო კომპლექსი შექმნეს და საგარეჯოდან წყალსადენიც გამოიყვანეს, რომელიც დღესაც არსებობს. მიწაში ღრმად ჩადებული თიხის მილებით წყალი საგარეჯოდან მონასტრამდე თვითდინებით მიედინებოდა. წყალსადენის ერთი მონაკვეთი ნაომრის გორაზე გადადის, რაც მკაფიოდ ჩანს გეომაგნიტური პროსპექციით შედგენილ რუკაზე.

### 80-იან წლებში

მლაშე ტბების მხარე დღესაც დაუსახლებელია - სასოფლო-სამეურნეო მიწები მზესუმზირის პლანტაციებს უკავია, მთების ფერდობებზე კი საძოვრებია.

80-იან წლებში საგარეჯოს რაიონულმა ხელმძღვანელობამ მლაშე ტბების მხარის დასახლება გადაწყვიტა. არქეოლოგებმა ადგილის დაზვერვა ჩაატარეს და გორებზე ნამოსახლარები "ამოიკითხეს". დაიწყო ადგილის შესწავლა. სასიარულოდ ძალზე მძიმე პირობები იყო. არქეოლოგიის ცენტრს კი მანქანები არ ჰყავდა. გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ აეროფოტოგადაღებები, რომელიც საბჭოთა კავშირში წელიწადში ორჯერ ტარდებოდა. ფიქსაციის მასალები გასაიდუმლოებული იყო და გეოლოგიურ სამმართველოში ინახებოდა. სამმართველოდან გაცემული მასალების სანაცვლოდ, ფიცხელაურს საზღვარგარეთ გასვლა აეკრძალა - ე.წ. "ნევიეზდნოი" გახდა.

აეროფოტოებზე კარგად გამოჩნდა სამი ქალაქი. გათხრებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება დაიწყო. იმ პერიოდში საგარეჯოს რაიკომის მდივანი მედეა მეზვრიშვილი გახლდათ, რომელსაც დღეს თელავის გამგებლის თანამდებობა უკავია. უნდა ითქვას, მასმედიაში იდიოზურად წარმოდგენილი ყოფილი რაიკომის მდივანი, არქეოლოგიისა და სიძველეების დამფასებელი ყოფილა და როგორც ფიცხელაურმა გვითხრა, კახეთში მიმდინარე სამუშაოებისთვის თანხებს არ იშურებდა.

საგარეჯოს რაიონული ხელმძღვანელობის მითითებით, მლაშე ტბების მხარემდე, 20 კმ-ის მანძილზე, დენის კაბელები და წყალი გაიყვანეს. დადგეს წყალსაქაჩი მოწყობილობა, გაიყვანეს გზა. არქეოლოგებს აუშენეს ბაზა, იმ დროს ცეკას პირველმა მდივანმა, ედუარდ შევარდნაძემ კვლევის ცენტრს მანქანები აჩუქა (დღესაც იმ მანქანებით დადიან), მეცნიერებათა აკადემიამ გათხრების დასაფინანსებლად თანხები გაიღო, მეზვრიშვილმა კი უფასო მუშახელით უზრუნველყოფა ითავა. შემდეგ დაიწყო სტუდენტთა გამოსვლები გარეჯის პოლიგონის გაუქმების მოთხოვნით.

არქეოლოგები გათხრებს შეუდგნენ. მაშინ გაითხარა ნაომრის გორაზე აჩეხილი მეომრების სამარხი და ძველი ქალაქის სამლოცველოს ნაწილი, ასევე გარეჯის უდაბნოს რკინის გამოსადნობი სახელოსნოები. მაგრამ 90-იანი წლებიდან ქვეყანაში დაწყებულმა არეულობამ გათხრები შეაჩერა. მლაშე ტბების მხარეში გაყვანილი კომუნიკაციები გაიძარცვა და დაზიანდა: მოიპარეს კაბელები და წყლის მილები, გაფუჭდა მისასვლელი გზა, ბაზის ხის შენობის მეორე სართული ძელებად დაშალეს და დაიტაცეს.

დღეს კიაზო ფიცხელაური ამაოდ ითხოვს რაიონის ხელმძღვანელობისგან გზის დანგრეული მონაკვეთების აღდგენას - ლაპარაკი აღარ არის წყალსადენზე - "რა გახდა, ბოლოს და ბოლოს! ბერებმა მეოთხე საუკუნეში გაიყვანეს წყალი, მაგალითი მაინც აიღონ!"

### რა ხდება დღეს

არქეოლოგთა ბაზის შენობის პირველი სართული დღეს საქონლის სადგომად არის გადაქცეული, რომლის დაცლას პირუტყვის პატრონები არ აპირებენ. პრობლემებია "ტროა-უდაბნოს" პროექტის ადგილობრივ დაფინანსებასთან დაკავშირებითაც. წლევანდელი ბიუჯეტით განსაზღვრული 30 ათასი ლარიდან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრს არაფერი მიუღია; ამის გამო, გერმანელების ჩამოსვლამდე უდაბნოში მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება ვერ ხერხდება. კიაზო ფიცხელაურს პროექტის ხელშეწყობისთვის ავთანდილ ჯორბენაძესთან სურდა შეხვედრა, მაგრამ სახელმწიფო მინისტრმა არქეოლოგიის პრობლემებზე სასაუბროდ ვერ მოიცალა. "ტროა-უდაბნოს" პროექტით არც კულტურის მინისტრი - სესილი გოგიბერიძე დაინტერესდა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრია.

ფაქტია, ხელისუფლებას საერთოდ არ აინტერესებს არქეოლოგია და ახალი აღმოჩენები. არავის ადარდებს უდაბნოს ქალაქების დაცვა.

წლების მანძილზე, იორმუღანლოელი აზერბაიჯანელები უდაბნოს გორებზე, მიწის ზედაპირზე ამოსულ ქვებს ტეხენ და სამშენებლო მასალად ეზიდებიან. უცნაურია, მაგრამ მიაჩნიათ, რომ მლაშე ტბების მხარე აზერბაიჯანს ეკუთვნის. იგივეს უმტკიცებდნენ აზერბაიჯანელი მწყემსები ტროას ექსპედიციის ხელმძღვანელს მანფრედ კორფმანს, რომელიც მათმა ნათქვამმა ფრიად გააოცა და ფიცხელაურს ჰკითხა: "გამაგებინეთ, ბოლოს და ბოლოს, სად ვარ?!"

ქ. ტიუბინგენის არქეოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი მანფრედ კორფმანი, რომელსაც თურქები მოწიწებით ოსმან ბეის ეძახიან, საქართველოში პირველად 1989 წელს - საერთაშორისო სიმპოზიუმზე ჩამოვიდა და ძალზე დაინტერესდა კავკასიის არქეოლოგიური მასალით. მან ყურადღება მიაქცია მე-2 ათასწლეულის კავკასიური და ტროას მასალების მსგავსებას და ორივეგან ერთდროულად კალიანი ბრინჯაოს გამოჩენას. მანვე წამოაყენა მოსაზრება კალის გზის არსებობასთან დაკავშირებით.

კორფმანის ინიციატივით, კიაზო ფიცხელაური ქ. ტიუბინგენის არქეოლოგიის ინსტიტუტში, კავკასიის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიაზე ლექციების სამწლიანი კურსის წასაკითხად მიიწვიეს. იმავე პერიოდში ინსტიტუტში კავკასიოლოგიის ცენტრი შექმნეს, ბიბლიოთეკაში კი - კავკასიის განყოფილება. გერმანელმა არქეოლოგებმა საქართველოში დაიწყეს ჩამოსვლა: შირაქის ველზე სამუშაოდ ჰალეს უნივერსიტეტიდან ფიურტვენგლერი ჩამოვიდა. ასევე კახეთში აწარმოებდა სამუშაოებს წინა აზიის არქეოლოგიაში ძალზე მნიშვნელოვანი ფიგურა - ვინგფრედ ოსტმანი. ამით დასავლეთ ევროპის არქეოლოგიას კავკასიური მასალების გაცნობის შესაძლებლობა მიეცა.

### ტროა-უდაბნოს პროექტი

1997 წელს საქართველოში კვლავ ჩამოვიდა კორფმანი. ფიცხელაურმა მას ამჯერად საგარეჯოს "უდაბნო" აჩვენა. ნაომრის გორაზე ასული კორფმანი თურმე სივრცეს მიაჩერდა; შემდეგ მასპინძელს მიუბრუნდა და უთხრა: ჩუმად! არაფერი თქვა! მე ძველ აღმოსავლეთს ვუყურებ!

შემუშავდა "ტროა-უდაბნოს" ერთობლივი პროექტი ტროას ექსპედიციისა და ქართველი არქეოლოგების მონაწილეობით. გერმანელებმა დაფინანსება ითავეს და არქეოლოგიური ნაშთების კვლევისთვის უახლესი მეთოდი - გეომაგნიტური პროსპექცია გამოიყენეს. ამ მეთოდით აღტაცებული ქართველი არქეოლოგები სამომავლოდ ჩვენში გეომაგნიტური პროსპექციის გერმანული სამსახურის ფილიალის გახსნას აპირებენ.

სამწუხაროდ, საქართველოში ჩამოსულ უცხოელ მეცნიერებს უამრავი პრობლემა შეექმნათ - ვერ მოხერხდა არათუ არქეოლოგიური ძეგლის, არამედ თავად ექსპედიციის მონაწილეთა პირადი უსაფრთხოებისა და დაცვის გარანტირება. ფურტვენგლერს არხილოსკალოში თავს დაესხნენ და 5 ათასი მარკა წაართვეს; გერმანელების ფულით აღჭურვილ სიღნაღის ბაზაში კი შეიარაღებული ხალხი მიცვივდა - უცხოელები შეკრეს და სცემეს; უცნაურია, მაგრამ ბაზიდან არაფერი წაუღიათ. ბ-ნი კიაზო ფიქრობს, რომ სიღნაღის ინციდენტი გერმანელების დაშინებას და ტროა-უდაბნოს პროექტის ჩაშლას ისახავდა მიზნად და მათი ინსპირირებულია, ვისაც უდაბნოს საძოვრების დათმობა არ სურს.

ტროა-უდაბნოს პროექტი გრძელვადიანია და დიდ თანხებს საჭიროებს. ფიცხელაური მწარედ ხუმრობს, პროექტის განხორციელება ასეთი ტემპით თუ წავიდა, ქალაქების გათხრას სამასი წელი დასჭირდებაო.

არ არის გამორიცხული, ამდენი ხელისშემშლელი მიზეზის გამო, პროექტი ჩაიშალოს და აღმოჩენა, რომელსაც შეეძლო ჩვენი ისტორიული წარსული ათასწლეულების სიღრმეში გადაეტანა, სამარადისოდ დაიკარგოს საქართველოსთვის.


"ნაომარის გორა" სამი ათეული საუკუნის შემდეგ


ნაქალაქევის გალავნის ნანგრევებთან

www.24hours.ge 24 B

# კინოვარსკვლავი, კოზა ნოსტრა და ბუდა

## რატომ ემუქრება მაფია სტივენ სიგალს



სტივენ სიგალი





პირველი გვერდიდან

ნასოების მთავარ ბიზნესს კი დანაშაულებრივი რეკეტი წარმოადგენდა. ნიუ იორკის სხვა მაფიოზურ კლანებთან ერთად გამბინოსა და ჯენოვეზეს ოჯახები ცდილობდნენ, პორტის მტვირთავების საერთაშორისო ასოციაცია გაეკონტროლებინათ, რათა ამ უკანასკნელს ჯეროვანი პატივი მიეგო კოზა ნოსტრასთვის. სწორედ ამ საქმიანობისთვის იქნა პასუხისგებაში მიცემული ჯულიუს ნასო. იგი დაადანაშაულეს შეთქმულებაში, რომელიც "ხელს უშლის ნორმალურ ვაჭრობას". მას ბრალად ედებოდა ძალადობის გზით სხვათა საკუთრების მითვისება. ახლა, როცა ეს სტრიქონები იწერება, ნასო მილიონნახევარ დოლარად თავდებითაა გათავისუფლებული. მან სიგალს სასამართლოში უჩივლა - ედავებოდა საქმიანი ურთიერთობების გაწყვეტის გამო, რაც მას, თითქოს, 60 მილიონი დოლარის ზარალის ფასად დაუჯდა.

აშკარაა, რომ სიგალისთვის წართმეულმა 700 ათასმა დოლარმა ნასოს მადა ვერ დააკმაყოფილა. როგორც ჩანს, ვერ დააკმაყოფილა ვერც თემიდას ცნობისმოყვარეობა, რომელიც იმხანად გამბინოსა და ჯენოვეზეს ოჯახების თამაშების ბიზნესის და საზღვაო ვაჭრობის სფეროში საქმიანობას იძიებდა. აშშ-ს შრომის სამინისტრო, ნიუიორკის პორტი, გამოძიების ფედერალური ბიუროს ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი განყოფილება და სეიტენ-აილენდის პროკურორები განგსტერების კვალს დაადგნენ. ამ კვალმა ისინი, ნასოს, ჩიკონესა და კასარინოსთან ერთად, კანადის ქალაქ ტორონტომდე მიიყვანა, სადაც იმხანად სტივენ სიგალი ფილმს - "გამჭოლ ჭრილობებს" იღებდა. როგორც თავად მსახიობი ამბობს, იქვე და მაშინვე დაიწყო, მისთვის ფულის გამოძალვის მიზნით, გამჭოლი მოქმედებაც.

სიგალი და ნასო ერთმანეთს პირველად 1986 წელს, ჰოლივუდში შეხვდნენ. კინოში განგსტერებთან მებრძოლი და ნამდვილი განგსტერი მალევე შეხმატკბილდნენ. მრავალწლიანმა "შემოქმედებითმა" თანამეგობრობამ ორივეს ბევრი რამ შესძინა, თუმცა, ნასოს თქმით, მას სულ რაღაც 850 ათასი დოლარი შეხვდა და ამ თანხიდანაც 500 ათასი სიგალს ასესხა გადასახადების დასაფარავად. ასე რომ, ის 700 ათასი, რაც მან სიგალს იარაღის ლულის ქვეშ გამოსძალა, მხოლოდ და მხოლოდ "სამართლიანობის აღდგენის" დასაწყისი იყო. ფრიად პოპულარულ რესტორანში, "კეიჯი და ტოლნერში" უგემური ვახშმის შემდეგ გფბ-ს სასმენი აპარატის ფირმა, რომელიც სტეიტენ აილენდზე მდებარე სხვა რესტორანში იყო დამონტაჟებული, განგსტერების - ჩიკონესა და კასარინოს საუბარი ჩაიწერა. ანონიმი იურისტის თქმით, რომელმაც საუბარი მოისმინა, განგსტერები იმაზე იცინოდნენ, თუ როგორ შეაშინეს მისტერ სიგალი. "ნამდვილი კინო იყო, ოღონდ პისტოლეტების ბათქაბუთქი აკლდა," - ეუბნებოდნენ ერთმანეთს განგსტერები.

მაგრამ თავად სიგალს საქმე სასაცილოდ სულაც არ ჰქონდა, მითუმეტეს, რომ შემდგომი მოვლენები უკვე ზედმიწევნით დაემსგავსა ელმოუერ ლეონარდის იმავე სახელწოდების ბესტსელერის მიხედვით გადაღებულ ფილმს - "აქ მომგვარეთ ჯუჯა!" გამოსასყიდი თანხის გადაცემა რესტორან "კეიჯი და ტოლნერში" შეხვედრიდან ერთი თვის თავზე შედგა. ეს უკვე ლოს ანჟელესში, მსახიობის სახლში მოხდა, სადაც მას მოულოდნელად ისევ ის ხუმარა განგსტერები - ჩიკონე და კასარინო დაადგნენ.

საკითხავია, მაინც რა შავმა კატამ გაირბინა კინომსახიობსა და მის განგსტერ პროდიუსერს შორის. თუმცა, ეს კატა შავი კი არა, ჟღალი ფერის იყო და სახელად... ბუდიზმი ერქვა! საქმე ისაა, რომ რაღაც დროიდან სიგალი ბუდისტური რელიგიის ძლიერი გავლენის ქვეშ მოექცა, ბეჯითად ეწაფებოდა და საბოლოოდ მართლმორწმუნე ბუდისტადაც ჩამოყალიბდა. ნასოს ვერსიით, ბუდისტებმა, განსაკუთრებით კი "ვერაგმა ქალმა", სახელად მუკარამ, რომელიც სიგალის სიმდიდრეზეა გადარეული, მსახიობს ტვინი აურიეს - დაარწმუნეს, რომ ძალადობით ზედმეტად გადატვირთულ ექშენ-ფილმებში ეთამაშა. სიგალი საფრთხეს უქმნის არა მარტო ნასოს, არამედ მთელი მისი ოჯახის "ბედნიერ რეინკარნაციას". ამ ვერსიის დასასაბუთებლად ნასომ სასამართლოს წარუდგინა მრავალათასიანი ჩეკები, რომელიც სიგალმა საქველმოქმედო მიზნებისთვის გამოუწერა ბუდისტებს. "მე კი არა, მათ დააცარიელეს მისი ჯიბეები, ძვირფასეულობის, სამკურნალო საშუალებების და სხვა ათასი ბუდისტური მაიმუნობის ყიდვას აიძულებდნენ", - ამტკიცებს ნასო, რაზეც სიგალის ადვოკატი მარტინ პოლნერი პასუხობს (ციტატა "ნიუ-იორკ ტაიმსიდან"): "სტივენი ბუდისტია და ფილანტროპული შესატანები შეაქვს, ოღონდ სრულიად ნებაყოფლობით, გულწრფელად და არა მუქარის შიშით ("ბედნიერი რეინკარნაციის" დაკარგვის - მ.ს.). ბუდიზმი სტივენის კარიერას ხელს არ უშლის. ის კინოში გადაღებას ისევ აგრძელებს".

ასეა თუ ისე, სტივენი ბუდიზმსა და განგსტერობას შორის გაეჩხირა. ნასომ, რომელსაც გამბინოს ოჯახის წევრი ძმაკაცებიც მხარს უჭერდნენ, მსახიობს ულტიმატუმი წაუყენა: ან ბუდიზმს შეეშვი, ან "ჯარიმები" გადაიხადეო. სიგალს არც ერთი არ უნდოდა. ნასოს ადვოკატის ჯეკ ლიტმანის თქმით, სწორედ სიგალი იყო გამომძალველი და არა მისი კლიენტი. სიგალი შეეცადა, კოზა ნოსტრას შიგნით არსებული განხეთქილებით ესარგებლა და ჯენოვეზეს ოჯახი გამბინოს ოჯახთან წაეჩხუბებინა. ამ მიზნით იგი ჯენოვეზეს ოჯახის ერთ-ერთ მამამთავარს - ანჯელო პრისკოს ეწვია, რომელიც ნიუ-ჯერსის შტატის ციხეში იხდიდა სასჯელს (იქნებ გამოცდილი განგსტერის გამოსწორებას და მისი ბუდისტური რწმენისკენ მოქცევას აპირებდა, ვინ იცის, შეიძლება, კარატეს ხელოვნების დახვეწაც უნდოდა. კარატეს ხელოვნება ხომ, ყველა სხვა ხელოვნების მსგავსად, მსხვერპლს მოითხოვს. ან იქნებ სულაც თავისი ახალი ფილმისთვის კონსულტაციის მიღება სურდა პრისკოსგან?!).

სიგალმა გამბინოსა და ჯენოვეზეს ოჯახებს შორის სისხლიანი ომის გაჩაღება ვერ მოახერხა. როგორც ჩანს, ბუდისტობამ მაინც თავი იჩინა. მადლიერების ნიშნად ბუდამაც დააჯილდოვა თავისი ერთგული ბერი, მსახიობი-განგსტერი და გამბინოს ოჯახს თავს დიდი უბედურება დაატეხა. ოჯახის თავკაცი ჯონ როტი ციხეში კიბოთი გარდაიცვალა, მისი მემკვიდრე პიტერი კი, თექვსმეტ განგსტერთან ერთად, განსასჯელის სკამზე მოხვდა. მათ შორის აღმოჩნდნენ ნასო, მისი ძმა, ჩიკონე და კესერინო. ჯულიუს ნასომ თავდებით გათავისუფლება მოახერხა, ჩიკონემ კი თავი ვერაფრით გამოისყიდა. მოსამართლე საიმონ გრეინმა სასტიკი უარი განაცხადა მისი თავდებით გამოშვებაზე, იმის გამო, რომ ჩიკონე "ძალიან საშიშია" და ნიუ იორკის მაფიის მეფის - ენტონი სკოტოს მემკვიდრე პრინცია.

სხვათა შორის, იმ სასამართლოს საბუთებში, რომელიც რეკეტების საქმეს იხილავდა, სიგალი "ყვითელ ეშმაკად" არ მოიხსენიებოდა. მეტსახელი "მსახიობი" უფრო ფიგურირებდა. სულ 2200 მოსმენილი ფირი არსებობდა. "ნიუ იორკ ტაიმსის" რეპორტიორს, განსაკუთრებით კი სამართალდამცავი ორგანოების მისეულ წყაროებს თუ ვენდობით, სიგალისთვის ულტიმატუმი წაუყენებიათ - ან ფულს გადაიხდი, ან ნასო ისევ შენი პროდიუსერი იქნებაო. სხვა ფირი უკვე ნასოსა და ჩიკონეს შორის მომხდარ უთანხმოებაზე მეტყველებს: ჩიკონე უკმაყოფილოა, რომ ნასო მას საფრთხობელად იყენებს, სიგალისთვის გამოძალული ფულის გაყოფა კი არ უნდა. მოკლედ, ქილაში გამომწყვდეული ობობების ჩხუბი მოგაგონდებათ.

... ჰოლივუდის მაფიასთან კავშირი ახალი ამბავი არ არის. ეს ყველაფერი იმ ქუჩას ჰგავს, რომელზეც ორმხრივი მოძრაობაა. ერთი მიმართულება "შემოქმედებითია", მეორე - პირადული. კინო განგსტერების ცხოვრების კოპირებას ახდენს, ეს უკანასკნელნი კი თავიანთ იმიჯს კინოს მიხედვით ხვეწენ. ყველაზე თვალსაჩინო ჰოლივუდური სტილის განგსტერი გამბინოს გვარის თავკაცი, ჯონ გოტი იყო; ეკრანს მიღმა მაფიაში გარეული ცნობილი მსახიობი კი - ფრენკ სინატრა, კოპოლას "ნათლიაში" მომღერლის პროტოტიპი (სინატრას სასამართლოშიც კი უჩივლია კოპოლასთვის). სტივენ სიგალის ისტორიის თავისებურება ისაა, რომ ამჯერად პიროვნების ერთგვარ გაორებასთან გვაქვს საქმე. იგი ეკრანზე განგსტერებს ებრძოდა, ცხოვრებაში კი მათი სისხლიანი დოლარებით სარგებლობდა და თავის ფილმებს აფინანსებდა (ესეც ფულის გათეთრების ერთგვარი ხერხია!). ამ ფილმებში სიგალი, ვიდრე ვინმეს თავს გაუხეთქავდეს, ჯერ ხელ-ფეხსა და კისერს ამტვრევს მათ.

ისე, ურიგო არ იქნებოდა, სიგალის თავშიც ჩაგვეხედა და გვენახა - დაიწყო თუ არა ამ მართლმორწმუნე ბუდისტის "ბედნიერი რეინკარნაციის" პროცესი? როგორც ჩანს, დაიწყო. სიგალის პიროვნული გაორება ამის პირველი ნიშანი უნდა იყოს!

- ჰარე კრიშნა, სტივენ!

*მინეაპოლისი, აშშ*
*ივლისი 2002 წ.*



## საქართველოს ჩემპიონატის მე-2 ტური

**10 აგვისტო**

| | | |
|---|---|---|
| "გორდა" რუსთავი | 2-1 | "დინამო"ბათუმი |
| "სიონი" ბოლნისი | 2-0 | "დილა" გორი |

**დღეს გაიმართება:**

| | | |
|---|---|---|
| "ტორპედო" ქუთაისი | - | "მერანი" თბილისი |
| "ვიტ ჯორჯია" თბილისი | - | "მილანი" წნორი |

## გერმანიის ჩემპიონატი პირველი ტური

**9 აგვისტო**

| | | |
|---|---|---|
| დორტმუნდი | 2:2 | ჰერტა |

**10 აგვისტო**

| | | |
|---|---|---|
| კოტბუსი | 1-1 | ლევერკუზენი |
| მიონხენგლადბახი | 0-0 | ბაიერნი |
| ნიურნბერგი | 1-3 | ბოხუმი |
| შალკე | 1-0 | ვოლფსბურგი |
| შტუტგარტი | 1-1 | კაიზერსლაუტერნი |

**დღეს გაიმართება**

| | | |
|---|---|---|
| არმინია | - | ვერდერი |
| ჰამბურგი | - | ჰანოვერი |
| მიუნხენ 1860 | - | ჰანზა |

## „ფაიენოორდის" მწვრთნელს მოკვლით ემუქრებიან

როტერდამის პოლიციამ UEFA-ს თასის გამარჯვებული "ფაიენოორდის" მწვრთნელი, ბერტ ვან მარვიკი დაცვის ქვეშ აიყვანა. საქმე ისაა, რომ უკანასკნელ ხანებში, ვან მარვიკი უცნობი პირისგან სისტემატურად ღებულობდა მუქარის წერილებს. უკანასკნელად, მწვრთნელმა საფოსტო ყუთში მოთავსებული რევოლვერის ტყვიები აღმოაჩინა. უცნობი წერილებს "აიაქსის" გულშემატკივრებისა და "ებრაული გაერთიანების" სახელებით აწერდა ხელს. თუმცა, პოლიცია წერილების ავტორსა და ამსტერდამის "აიაქსს" შორის რაიმე კავშირს გამორიცხავს.

სამართალდამცავები ამ ფაქტს უფრო "ფაიენოორდის" კონკურენტის, როტერდამის "სპარტას" მწვრთნელის, ფრანკ რაიკაარდის სახელზე მიღებულ მუქარის წერილებს უკავშირებს. ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, გასულ წელს, ისევე როგორც ვან მარვიკმა, მუქარის წერილები და ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნები მიიღო. ამის გამო რაიკაარდმა "სპარტას" მწვრთნელის პოსტიც კი მიატოვა. მაშინ პოლიციამ დამნაშავის პოვნა ვერ შეძლო. (sid)

## ვერხოვოდი „ფიორენტინას" ახალი მწვრთნელია

იტალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი პიეტრო ვერხოვოდი, ბოლო წლებში, სკანდალებით ცნობილი "ფიორენტინას" მწვრთნელის პოსტს იკავებს. გუშინ ამის შესახებ იტალიური პრესა იუწყებოდა.

ვერხოვოდი, რომელმაც "სკუადრა აძურას" შემადგენლობაში 44 მატჩი ჩაატარა, თავისი კარიერის მანძილზე, "სამპდორიას", "რომას", "ფიორენტინას", "იუვენტუსის", "მილანისა" და "პაჩენცას" ღირსებას იცავდა. სერია "A"-ში ფეხბურთელმა 500-ზე მეტი მატჩი ჩაატარა.

ფინანსური პრობლემების გამო, სერია "A"-დან სერია "C"-ში დაქვეითებული "ფიორენტინას" მწვრთნელის პოსტზე ვერხოვოდი ოტავიო ბიანკის შეცვლის. (sid)

## ლუის ფელიპე სკოლარი გადადგა

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ლუის ფელიპე სკოლარიმ თავისი გადადგომის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. ნაკრების თავკაცის პოსტიდან წასვლის თაობაზე "გენერალ ფელიპაომ" 9 აგვისტოს, რიო დე ჟანეიროში, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ამცნო ჟურნალისტებს.

54 წლის მწვრთნელმა თავისი გადაწყვეტილება ოჯახური პრობლემებით ახსნა. "ოჯახის წევრებმა ამ გადაწყვეტილების მიღება მირჩიეს. ჩემს სამუშაოს ბევრად უფრო მძიმე ვითარებაში ვასრულებდი, ვიდრე ახლა, მაგრამ ამჯერად ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნას ნამდვილად ვერ შევასრულებ. პოსტიდან ჩემი წასვლა გადაწყვეტილია", - განაცხადა სკოლარიმ.

გადადგომის შესახებ განცხადება, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა მწვრთნელმა, ჯერ კიდევ მსოფლიოს პირველობის ფინალის წინ გააკეთა. მაშინ სკოლარიმ განაცხადა, რომ ნაკრების მწვრთნელის სამუშაომ ძალიან გადაღალა.

მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისას, სკოლარის უამრავი კრიტიკოსი ჰყავდა. ბრაზილიური მედია მის გადადგომას მოითხოვდა, მაგრამ მწვრთნელმა თავის ქვეყანას მეხუთე ტიტული მოუტანა, რის შემდეგაც ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია სკოლარის პოსტზე დარჩენას სთხოვდა. მიუხედავად ამისა, მწვრთნელი გადადგა.

ნაკრების თავკაცის პოსტზე ბრაზილიას ჯერ არ ჰყავს ახალი კანდიდატურა.

21 აგვისტოს, პარაგვაის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში, სკოლარი უკანასკნელად უხელმძღვანელებს ბრაზილიის ნაკრებს.




*სკოლარი 9 აგვისტოს პრესკონფერენციისას* REUTERS

ფეხბურთი

## FIFA ჟორდანიას ბლატერთან ვიზიტის ამსახველ ფოტოს აქვეყნებს

### "ინტერ-პრესი" კი აცხადებს, რომ შეხვედრის ფაქტს არც უარჰყოფდა

აკა ტონია

გაზეთ "24 საათის" გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია, რომელშიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიასა და გენერალური მდივნის, ვალერი ჩოლარიას ციურიხში, FIFA-ს შტაბბინაში სტუმრობისა და FIFA-ს პრეზიდენტ ზეპ ბლატერთან შეხვედრის შესახებ ვიუწყებოდით.

სტატიაში დაიბეჭდა სააგენტო "ინტერ-პრესის" მიერ გავრცელებული ინფორმაციაც, ვითომდა ბატონი ბლატერი საერთოდ არ იმყოფებოდა შვეიცარიაში.

გუშინდელ ნომერში გაზეთმა "24 საათმა" აგრეთვე გამოაქვეყნა სფფ-ს პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას კომენტარი "ინტერ-პრესის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. მერაბ ჟორდანია აღნიშნულ სააგენტოს მოვლენებში უკეთესად გარკვევას და ქართული დელეგაციის ზეპ ბლატერთან შეხვედრის თაობაზე ინფორმაციის მოძიებას მსოფლიოს სხვადასხვა სააგენტოების მეშვეობით ურჩევს.

გუშინ დილით, FIFA-მ, თავისი ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით ზეპ ბლატერთან ქართული დელეგაციის სტუმრობის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა. ვებ-გვერდზე განთავსებულია შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათიც.

გუშინ, გაზეთი "24 საათი" "ინტერ-პრესს" დაუკავშირდა და მათი სააგენტოს მიერ გავრცელებული უზუსტობის გამო კომენტარი სთხოვა.

გუშინვე რედაქციაში მოვიდა სააგენტო "ინტერ-პრესის" ფაქსი.

გთავაზობთ ამ განცხადების სრულ ტექსტს:

**"საინფორმაციო სააგენტო "ინტერ-პრესის" განცხადება**

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა პუბლიკაციები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიასა და სფფ-ს გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას FIFA-ს პრეზიდენტ ზეპ ბლატერთან შვეიცარიაში შეხვედრის შესახებ.**

**საინფორმაციო სააგენტო "ინტერ-პრესი" გუშინ, თბილისის დროით 20.00 საათზე და ციურიხის დროით 17.00 საათზე ესაუბრა FIFA-ს პრესოფიცერს ნიკოლაზ მანგოს და FIFA-ს იურიდიულ-პროცესუალური საკითხების პასუხისმგებელ პირს ბ-ნ ვინსენტ მონიეს (აღნიშნულ პირებთან ინტერვიუ გუშინდელ გაზეთებში გამოქვეყნდა). მათი განცხადებით, ინტერვიუს მსვლელობისას FIFA-ს პრეზიდენტი ზეპ ბლატერი უკვე შვეიცარიაში აღარ იმყოფებოდა.**

**საინფორმაციო სააგენტო "ინტერ-პრესის" მიერ მომზადებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ – "ხოლო FIFA-ს პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ამჟამად შვეიცარიაში არ იმყოფება".**

**საინფორმაციო სააგენტო "ინტერ-პრესი" აცხადებს, რომ მის მიერ მომზადებულ ინფორმაციაში მას არ განუცხადებია, რომ სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია არ შეხვედრია FIFA-ს პრეზიდენტ ზეპ ბლატერს."**

მძლეოსნობა

## ქარის ღმერთი

### მაკაროვზე შორს ინგლისელმა ისროლა

გიგა გურასაშვილი

როდესაც მიუნხენის ჟუჟუნა წვიმა მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატს ერთგვარი ისტორიული მიღწევებით ნამავდა, გერმანელთა უმეტესობა ტელევიზორთან მოკალათებული საფეხბურთო სეზონის პირველ მატჩებს უყურებდა. მათ, ვინც სპორტის დედოფალს დასდეს პატივი, საინტერესო პაექრობათა მოწმე შეიქნენ.

ბრიტანელი სტივ ბეკლის გატყორცნილმა შუბმა ალბიონელი თავისებურ რეკორდების წიგნში მოახვედრა. ზედიზედ მეოთხე ევროპული ოქროს ერთი და იმავე დისციპლინაში მოგებით, ბეკლი გვერდში ამოუდგა ლატვიელ კოლეგა იანის ლუსის და გერმანელ სიგრძეზე მხტომელ ჰეიკე დრექსლერს. თავის დროზე, ლატვიელსაც და გერმანელსაც იგივე გაეკეთებინათ, ახლა კი მათ ბრიტანელიც შეუამხანაგდა.

"უსაზღვროდ მეამაყება ახლანდელი მიღწევა. მართლაც, განსაკუთრებული რამაა, იყო ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, რადგან მიმაჩნია, რომ აქ წარმატების მოპოვება უფრო ძნელია, ვიდრე ოლიმპიურ თამაშებზე. როდესაც მზადება დავიწყე, მიუნხენში წარმატების შესაძლებლობაზეც ვფიქრობდი", - განაცხადა ბეკლიმ.

საინტერესოა, რომ პირველ წრეში ბრიტანელი მასზე უკეთესი შედეგის მქონე რუს სერგეი მაკაროვს ჩამორჩებოდა, მაგრამ, როდესაც ჯერი მეხუთე მცდელობაზე მიდგა, სეზონის პირადი საუკეთესო შედეგით (88,54) ეს უკანასკნელი უკან მოიტოვა. რუსი კი ვერცხლს დასჯერდა (88,05).

"ევროპული ვერცხლი ურიგო არაა, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, მას ოქროს ბზინვარება ჰქონოდა. სპორტის ამ სახეობაში, ძირითადად, ერთი და იმავე მეტოქეებთან გვიწევს პაექრობა. მათ შორის, ყველაზე სერიოზული მეტოქე კი სტივ ბეკლია. მასთან ორთაბრძოლისას, ბოლო მცდელობამდე დაუზღვეველი ხარ. ოთხგზის ჩემპიონობა ბეკლის ოსტატობაზე მიუთითებს", - ამბობს მაკაროვი.

ბრინჯაოსანი მასპინძელი გახდა ბორის ჰენრი, რომელიც გვარიანად ჩამორჩა ორივეს - 85,33, თუმცა, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, პრიზიორთა შორის მოხვედრითაც კმაყოფილია.

შუბის მტყორცნელთა ფინალი გაცილებით დაიძაბებოდა, რომ არა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ჩეხ იან ჟელეზნის ტრავმა. ჩეხმა ამის გამო ასპარეზობა ისე დაასრულა, რომ შუბს ხეირიანადაც ვერ შეავლო ხელი.




*კონსტანტინოს კენტერისის ფინიში* REUTERS

"ოლიმპიაშტადიონის" მოვლენათა ცენტრში მყოფი სტივ ბეკლი ის იყო ჩემპიონობით ტკბებოდა, რომ გულშემატკივართა ყურადღება ბერძენმა კონსტადინოს კედერისმა მიიპყრო. 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ყველაზე მოულოდნელმა ჩემპიონმა, გარდა იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე შარშანაც დაამტკიცა საკუთარი სიძლიერე, ევროპულ სარბიელზე ეს უკანასკნელი უფრო განიმტკიცა. გრძელ სპრინტერულ დისციპლინაში, 200 მეტრზე ბერძენმა პირადი შედეგი გააუმჯობესა – 19,85 და იტალიელი პიეტრო მენეას შემდეგ მეორე უსწრაფესი ევროპელის სახელიც მოიპოვა. მეტიც, კედერისმა ევროპის ჩემპიონატების ისტორიაშიც შეაბიჯა, როგორც ვაჟთა შორის პირველმა ჩემპიონმა ბერძენმა. ამასთან, ის გახდა პირველი, რომელმაც იმავე დისციპლინაში ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის გვირგვინი დაისაკუთრა.

"ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს 200 მეტრზე დიდი სლემი მომეგოს. რა თქმა უნდა, ახლა გადაჭრით ვერ ვიტყვი, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, იტალიელის ევროპული რეკორდიც დავამხო", - თქვა კედერისმა.

გმირად შერაცხულ ბერძენს სამშობლოში რომ დიდ პატივს სცემენ, ამაში დასარწმუნებლად პირეოსიდან კუნძულ ლესბოსზე ბორანით გადასვლაა საჭირო. არ გაგიკვირდეთ, თუ ერთ-ერთ გემზე "Eolos Kenteris"-ს ამოიკითხავთ. ეოლოსი ბერძნულ მითოლოგიაში ქარის ღმერთსა და ათლეტის სპონსორ სანაოსნო კომპანიას ჰქვია.

მართლაც, ქარის ღმერთისა და კენტერისის სახელების შერწყმა ცუდი იდეა არაა, მით უმეტეს, რომ ბერძენს არაერთხელ გაუქროლია ქარივით 200 მეტრზე. ერთადერთი, რაშიც მას გულშემატკივრები ადანაშაულებენ, ისაა, რომ მათი საყვარელი გმირი მნიშვნელოვანი ასპარეზობების წინ სარბიელზე არ გამოდის. არადა, მაშინ, როდესაც სხვები დიდი შეჯიბრების წინ ჩვეულებისამებრ ხურდებიან და ამასთან ერთი-ორად ბიუჯეტსაც ივსებენ, იგი მთელ ყურადღებას ვარჯიშს უთმობს. რაც შეეხება დანარჩენს, კენტერისის თქმით, ამაზე მთავრობა ზრუნავს. ჩემპიონობისთვის დაწესებული პრემიები იმდენად დიდია, რომ ამაზე მოწინავე გერმანიის სპორტსმენებიც კი ვერ იოცნებებენ. თავად განსაჯეთ, როდესაც კენტერისი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ქვეყნის ხელისუფლებამ მას 200 ათასი ევრო უფეშქაშა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებისთვის კი - 120 ათასი. ახლა, როდესაც კონტინენტის უძლიერესი სპორტსმენის სახელიც მოიპოვა, მას შინ 40-ათასიანი ქვითარი ელის. გარდა ამისა, ბერძენის კეთილდღეობაზე ზრუნავს სამი სპონსორი, მათ შორის სანაოსნო კომპანია და საქვეყნოდ ცნობილი ფირმა "ვოდაფონი".

ბერძენისგან განსხვავებით, ფრანგ სტეფან დიაგანასთვის ყველაზე დიდი შენაძენი 12 დღის წინათ შეძენილი ბიჭია. გახარებული დიაგანა 400 მეტრზე თარჯრბენში ისე გაისარჯა, რომ მეტოქეები ახლოს არ გაიკარა და ბიჭის დაბადება ჩემპიონობით აღნიშნა – 47,58. ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ კი, ვერ იჯერებდა, როცა მაყურებელთა შორის მეუღლე და პატარა ტიდიანი დაინახა.

აღსანიშნავია, რომ 33 წლის ფრანგისთვის ევროპული ოქრო პირველი დიდი გამარჯვებაა 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ.

საწყლოსნო სპორტი

## წყლის თხილამურები – „ახალი ძველი ხილი" დედაქალაქის ცხოვრებაში

მიხეილ აბაიშვილი

როგორც წესი, აგვისტო სპორტული მოვლენების სიმრავლით, მით უმეტეს თბილისში, ვერ დაიკვეხნის. აღარაფერს ვიტყვით ისეთ ელიტურ სახეობაზე, როგორიც წყალსათხილამურო სპორტია. ამ სახეობაში ასპარეზობებისთვის თბილისს ბოლო 15 წლის განმავლობაში არ უმასპინძლია. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქისთვის წყალჯომარდობა 1988 წელს თბილისის ზღვაზე გამართული საბჭოთა კავშირის თასის ეტაპით დასრულდა.

როგორც ჩანს, ამიერიდან წყალზე მონავარდე მოთხილამურეებისთვის მხოლოდ ტელეეკრანიდან არ მოგვიწევს თვალყურის დევნება. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ერთობლივი ინიციატივითა და დაფინანსებით, გუშინ თბილისის ზღვაზე იახტკლუბმა "აფრამ" წყალსათხილამურო სპორტში თბილისის პირველ ღია ჩემპიონატს უმასპინძლა. მასში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეეძლო. იმის გამო, რომ გასაგები მიზეზებით სპორტის ეს სახეობა ჩვენში, ჯერჯერობით, პოპულარობით ვერ სარგებლობს, მხოლოდ ოცამდე მონაწილემ მოიყარა თავი. ამის მიუხედავად, ტურნირმა სანახაობრივ და მხიარულ ვითარებაში ჩაიარა. ასეთი ასპარეზობები დედაქალაქისა და დედაქალაქელების ცხოვრებას ამრავალფეროვნებს და ხალისს მატებს. ამ მომენტების გათვალისწინებით, ტურნირის სპორტულმა მხარემ ოდნავ უკანა პლანზე გადაიწია, თუმცა გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. ტრასა ყველაზე კარგად გოგლა ცაგარელმა გაიარა და მთავარი პრიზის მფლობელიც გახდა, ვეტერანებში კი გამარჯვება ფელიქს მაისურაძემ იზეიმა. ტურნირის მთავარი მსაჯი იყო რომა ჩაჩიბაია.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

დავით ჭელიძე (თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი): "დიდი ხანია მსგავსი ტურნირი არ ჩატარებულა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, ირაკლი მეძმარიაშვილთან შეთანხმებით, ამ "ტრადიციის" დარღვევა გადავწყვიტეთ. წყლის თხილამურები ცივილიზებულ მსოფლიოში გართობისა და აქტიური დასვენების ერთ-ერთი გამორჩეული და საყვარელი სახეობაა. ჩვენი მიზანია, თბილისელებსაც შევაყვაროთ ეს სპორტი არა მხოლოდ შედეგების, არამედ ჰობის თვალსაზრისითაც. მსგავს ტურნირებს მომავალშიც არაერთხელ ჩავატარებთ."

## როგორ შეექცეოდა ბეტი საკუთარი შრომით მოპოვებულ ლუკმას

### ყვავის საზრიანობამ ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერები გააოგნა

ბეტი - ასე ჰქვია ყვავს, რომელიც ოქსფორდის მეცნიერებმა 21-ე საუკუნეში ადამიანის შემდეგ ყველაზე გონიერ არსებად აღიარეს. როგორც მკვლევარები ამბობენ, ბეტი ფაუნის პირველი წარმომადგენელია, რომელმაც "ჰომო საპიენსს" ტოლი არ დაუდო და შრომის იარაღის დამზადება ისწავლა.

ოქსფორდის უნივერსიტეტის ზოოლოგები გაოგნებულნი დარჩნენ ფრინველის სიმარჯვით, რომელმაც არც აცია, არც აცხელა, მავთულისგან კაუჭის მსგავსი საგანი დაამზადა, კალათიდან ხორცის ნაჭრები რომ გამოეღო; მერე კი გაოგნებული მეცნიერების თვალწინ საკუთარი შრომით მოპოვებულ ლუკმას მადიანად შეექცა კიდეც.

ეს ყველაფერი ოქსფორდის უნივერსიტეტში ჩატარებული სამეცნიერო ექსპერიმენტის დროს მოხდა: ზოოლოგებმა ექსპერიმენტის ობიექტებად ორი ჩვეულებრივი ყვავი შეარჩიეს, ჩვეულებრივი – ერთი შეხედვით, თორემ ბეტი ისეთი მოხერხებული არსება აღმოჩნდა, რომ მარტო თავისი "მეტოქე" კი არა, ადამიანებთან ყველაზე უფრო ახლოს მდგომი შიმპანზეც კი უკან ჩამოიტოვა.

ექსპერიმენტის მონაწილე ყვავებს მკვლევარებმა გალიის წინ ხორცის ნაჭრებით სავსე კალათა დაუდეს, კალათასთან კი ორი მავთული, ერთი გაღუნული, მეორე - სწორი. ოქსფორდელი მეცნიერები, რომლებიც დიდი ინტერესით ელოდნენ, რას მოიმოქმედებდნენ ფაუნის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი წარმომადგენლები, სახტად დარჩნენ. ამას ნამდვილად ვერავინ იფიქრებდა. ბეტის მეგობარმა თავიდანვე გაღუნული მავთული აირჩია, ასე რომ, ბეტის სწორი მავთული ერგო, მაგრამ მან საოცარი საზრიანობა გამოიჩინა, კუთხეში განმარტოვდა და საქმიანობას შეუდგა. მან მავთული მოღუნა და ერთი-ორჯერ, როცა ანკესი ნადავლს ვერ წვდებოდა, კაუჭს ფორმა შეუცვალა კიდეც.

მოკლედ, ბეტიმ დაკისრებული ამოცანა წარმატებით შეასრულა. პირველად კაცობრიობის არსებობის ისტორიაში ცხოველმა გამოამჟღავნა ის შესაძლებლობები, რაც აქამდე, როგორც მეცნიერები ვარაუდობდნენ, მხოლოდ ადამიანის უნარს წარმოადგენდა. მართალია, ქვას, ხის ტოტს, თუ სხვადასხვა საგანს ბევრი ცხოველი იყენებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე საკვების მოპოვებას ეხება, მაგრამ ასეთი ოსტატობა დღემდე არავის უნახავს. ერთ-ერთი მეცნიერი, პემბროუქ კოლეჯის ლექტორი ალექს კასელნიკი, რომელიც ველური ბუნების თავისებურებებს, ცხოველთა სამყაროს ქცევის წესებს სწავლობს, ამბობს, რომ აქ თითქმის ამოუხსნელ მოვლენასთან გვაქვს საქმე, ყვავი ხომ გარეული ფრინველია, რომლისთვისაც არავის არაფერი უსწავლებია.

აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ექსპერიმენტის შედეგები გვიჩვენებს, ფრინველმა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გააცნობიერა. ბეტიმ თავიდანვე გვიჩვენა, რომ როცა მავთულს ღუნავს, მან იცის, ამას რატომაც აკეთებს; არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ მან რამდენჯერმე საჭიროებისამებრ შეცვალა მავთულის მოხრის კუთხე და, რაც მთავარია, ხორცის ნაჭრის მოპოვების 10 მცდელობიდან 9 წარმატებული გამოდგა. მიუხედავად ამისა, ოქსფორდში ჩატარებული ექსპერიმენტი ჯერჯერობით ამოუხსნელი რჩება; პრიმატებზე ჩატარებული ცდები ამტკიცებს, რომ მათ არ შესწევთ გააზრებულად შრომის, იარაღის დამზადების უნარი, ანუ ისინი, ადამიანებისგან განსხვავებით, ფიზიკის კანონებს ვერ აცნობიერებენ. ამ შემთხვევაში ბეტიმ პრიმატებს თითქოს აჯობა, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმის მტკიცება, რომ ყვავები განვითარების უფრო მაღალ დონეზე დგანან, ვიდრე შიმპანზეები, აბსურდულია. ჯერჯერობით არსებული ერთადერთი მეცნიერული მოსაზრება ისაა, რომ სხვადასხვა ცხოველი ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვაგვარად ეპყრობა. დანარჩენს შემდგომი ექსპერიმენტების შედეგები გვიჩვენებს.



# ქალიშვილები გაიზარდნენ, მური ბრუნდება



დემი მური

დემი მურმა ხუთწლიანი შვებულების შემდეგ გადაწყვიტა, ფილმ "ჩარლის ანგელოზების" ახალ სერიაში ეპიზოდური როლი შეასრულოს. უფრო ზუსტად, მსახიობი ამ ხუთი წლის განმავლობაში შეგნებულად გაურბოდა ჰოლივუდს, სამ ქალიშვილთან ერთად საკუთარ ვილაში ცხოვრობდა (აიდაჰოს შტატი) და მთელ დროს გოგონების აღზრდას უთმობდა. ახლა, როგორც ჩანს, დემი მურის დაბრუნება შედგება. "ჩარლის ანგელოზებში-2" ის უკვე დაცემული ანგელოზის როლს შეასრულებს, რომელიც ბოროტების მხარეს იბრძვის. ჩარლის ერთგული გოგონების როლებს კი კვლავაც დრუ ბერიმორი, ლუსი ლიუ და კამერონ დიასი განასახიერებენ. ფილმი დიდ ეკრანებზე, Columbia Pictures-ის სახელით, 2003 წლის ივნისში გამოვა.

დემი მური მაყურებელს პოპულარული "ალისფერი ასოსა" და "სტრიპტიზის" შემდეგ აღარც ახსოვს. მისი ბოლო ფილმი "გონების ვნება" ყველას თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. ახლა მთელი იმედები დაცემული ანგელოზის გმირზეა – ამ როლმა დემი მურს, რომელიც თითო ფილმისთვის 12 მილიონ დოლარს იღებდა, დაკარგული პოპულარობა უნდა მოუტანოს.

# მაიკლ დუგლასის კოშმარი დასრულდა



მაიკლ დუგლასი

ქეთრინ ზეტა-ჯონსმა, ოჯახის ღირსებების დაცვის მიზნით, მილიონ დოლარიან სარეკლამო კონტრაქტზე თქვა უარი. მსახიობთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება ქალის თეთრეულის მწარმოებელმა ამერიკულმა გიგანტმა Victoria's Secret მოინდომა. კომპანიას სურდა თეთრეულის ახალი ხაზის შექმნა, რომელიც ქეთრინ ზეტა-ჯონსის სახელით მთელს მსოფლიოში გაიყიდებოდა. ოღონდ, მაიკლ დუგლასის მეუღლე კომპანიის სახეც უნდა გამხდარიყო და თეთრეულის რეკლამირებაც თავად ეკისრა. თუმცა, სანამ ქეთრინ ზეტა-ჯონსი საკუთარ აზრს დააფიქსირებდა, უკმაყოფილება მეუღლემ გამოთქვა. აღელვებულმა მაიკლ დუგლასმა უცებ წარმოიდგინა, თუ როგორი ინტერესით შეათვალიერებდნენ მის გაშიშვლებულ ცოლს ამერიკელი მამაკაცები და მეუღლეს კატეგორიულად მოსთხოვა, წინადადება არ მიეღო. ქეთრინ ზეტა-ჯონსი ასეც მოიქცა და კმაყოფილი დუგლასისგან სარეკლამო კონტრაქტის "საკომპენსაციოდ" ძღვენი მიიღო – ბრილიანტის ექვსთვლიანი კელტური ჯვარი.

## სკანდინავიური კროსვორდი



**N67-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი**

**თარაზულად:** იჩქერია; კალანდა; ვერძი; ოვალი; მაჟორი; ესტე; ინდიანა; ჰააგა; ადამ; აცრა; ქვევრი; არხი; ქერტლი; კაგორი; მეტ; პალადა; სალარო; კრემი; ფრანი; მალტა; ისინი; სინაგოგა; კვირა; ერი; თრიმლი; უზანგი; საფარი; აირი; კრაიოვა; რენტა; ლიდო; მირძმა; ელარჯი; იამანი; რილკე; შატლი; უდე; თრია.

**შვეულად:** აპკი; პაპარაცი; სურა; არდილესი; იფანი; ქატო; სამანი; ნარმა; ქუდი; თრიაქი; ეგერი; მარაო; ჩაო; მავრი; ფლოტი; კრამიტი; ვენდეტა; მარე; ევა; ყავლი; ანაკლია; ენკი; რელე; ვირი; ლიე; ირისი; მაიორი; იოგა; ყრუ; ვარაუდი; იმედი; ატამი; აზია;. გეა; რასა; ლი; აკროპოლი; ქნარი; ნიხრი; უგანდა; ლაისტი; ტოპ.

## TV პროგრამა 11 აგვისტო

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.15 მულტსერიალი
10.45 "ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე"
11.15 სერიალი "ნიკიტა"
12.10 მხ.ფილმი
14.00 სიმფსონები
14.30 მხ. ფილმი
17.00 ჰერკულესის თავგადასავალი
18.00, 21.00, 23.20 კურიერი
18.20 ქართული ფილმი
19.50 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
21.25 ჩვენი ეზო
21.45 "ჯეოსელის კინოკლუბი". "ფრანგი მეკავშირე", "თეთრი გრიგალი", "ადამიან-ფარვანას წინასწარმეტყველება"
23.30 მხ.ფ. "ფრანკენშტეინი" მთ.როლებში ქენეთ ბრანა, რობერტ დე ნირო, თომ ჰალსი

### პირველი არხი

08.00, 15.00, 20.00, 00.00 "მოამბე"
08.10 მულტსერიალი "საბრალონი"
09.00 "მსოფლიოს ველური ბუნება"
10.00 "ცირკი"
11.05 მხიარული კარუსელი
11.35 ფრანგული პროგრამა "მოდი ვიცეკვოთ"
12.00 მსოფლიოს ახალი ამბები
12.15 ბავშვები უპირველეს ყოვლისა
12.25 "მეტრო"
13.10 "თბილისი და თბილისელები"
13.40 "გლობუსი"
14.10 საკვირაო გამოფენა
14.20 განვითარების პროექტი საქართველოში
14.35 არათბილისური ამბები
15.15 მხ. ფილმი "მიმი მეტალურგის შელახული ღირსება"
17.00 "ამბები ჩვენზე"
17.30 "დროშა"
17.45 "ბავშვთა უფლებების კონვენცია"
18.05 მღერის სტუ კაპელა
19.05 "მშვიდობით, მე-20 საუკუნევ!"
20.25 "საქართველო არის ესე"
20.50 სატელევიზიო კინოდარბაზი "სიაუშ ქართველი"
21.50 მიამბეთ თქვენზე
22.35 მღერის "ფორტე"
23.40 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.10 მხ. ფილმი "სასიკვდილო თამაშები"

### მეორე არხი

19.00 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "ამანდა"
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნე
21.45 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი "სასიყვარულო წერილი"

### ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10, 22.00 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება
17.20 საეკლესიო კალენდარი
17.35 საუბრები ბიბლიაზე
19.00 სერიალი "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მე-6-7 სერია
22.30 "ევროპა და ევროპელები"
00.30 მხ. ფილმი "წვრილმანი თაღლითები"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.10, 00.45 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "უკანასკნელი მამაკაცი დედამიწაზე"
10.20 მხ.ფ. "ალფრედ დიდი"
20.00 მხ.ფ. "ჭორი"
22.30 მხ.ფ. "ბანკების მძარცველი"
00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.30 "მადლიანი ცნობა"
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
12.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
14.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "იცეკვე ჩემთან"
16.00 "უცნობი"
17.00 მუსიკა
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "ვიდეო-რადიო"
21.00 რომანტიკული მუსიკა
22.00 ინფორმატორი
23.00 "ცენტრი"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "მაგარი ჯო". მთ. როლებში ტიმ ალენი, ჯეიმს ბელუში
01.40 ღამურა "სტა:იორი". მთ. როლში კრისტიან ოლივერი
03.10 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 ინდ. მხ.ფილმი
14.30 მხ.ფ. "მეხუთე ელემენტი"
16.45 მხ.ფ. "იურული პერიოდის პარკი 2"
18.55 მხ.ფ. "მრბოლელი"
20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
21.00 მხ.ფილმი
22.30 მხ.ფილმი
00.20 მხ.ფ. "ცდუნება"

### მეცხრე არხი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20, 12.20, 17.40, 20.50, 22.00, 00.15 მუსიკა
09.35, 19.10 მულტფილმი "კეთილი ჯადოქარი ოზიდან"
10.00, 15.00 "დილა"
11.20, 14.05, 18.00 დისქავერი
12.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში"
13.20 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ვალერი აირონსის დაცვის სამსახური"
16.20 მხ.ფილმი "კანარიის პრინცესა"
19.00 მაცაცერა
19.30 მსოფლიო ფეხბურთი
20.00 სად? რა? როდის?
21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ვალერი აირონსის დაცვის სამსახური"
22.10 მხ.ფ. "გულთან ახლოს". მთ. როლებში რობერტ რედფორდი, მიშელ ფაიფერი
00.35 მხ.ფ. "ცდუნება". მთ. როლებში ანტონიო ბანდერასი, ანჯელინა ჯოლი

### აჭარის ტელევიზია

03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
9.30 Слово
10.00 სათავგადასავლო ფილმი "პატარა პრინცესა"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 მელოდრამა "ესენია"
14.20 თრილერი "პატარა ჭუჭყიანი საიდუმლო"
16.15 მულტფილმი "აგა- დაგა-დუ"
17.45 თრილერი "სისხლით ძმები"
19.20 სატელევიზიო სპექტაკლი "კოლმეურნის ქორწინება"
20.50 ქართული მხატვრული ფილმი "ლომა" 2 სერია
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.30 Новости в воскресенье
22.50 "სათქმელი"
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.20 მელოდრამა "მოხეტიალე ვარსკლავები"
03.30 კომედია "სამსახურეობრივი რომანი"

### VII არხი

17.20,22.30,01,55 ანონსი
17.25,21.50 ამინდის პროგნოზი
18.00 ფეხბურთი. ინგლისის სუპერთასი. "არსენალი" - "ლივერპული"
20.00 "აჩიკუდა"
20.30 "სახლიდან გაუსვლელად" ეკრანთან მთელი ოჯახით
21.15 "ავტოტრეკინგი" (წლის საუკეთესო გადაცემა)
22.05 "საყვარელი ფილმი" - "დიდი გასეირნება" საფრანგეთი.
1965 წელი. კომედია. რეჟისორი - ჟერარ ური. მთავარ როლში: ლუი დე ფიუნესი.
00.05 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 "სახლიდან გაუსვლელად"
00.50 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "ელიტარული ქვედანაყოფი" ა.შ.შ.
1999 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - სკოტ სილვერი. როლებში: დენის ფარინა, ჯოშ ბროლინი.
02.25 "სახლიდან გაუსვლელად"
02.55 პრესის მიმოხილვა პროგრამაში განთავსებული ფილმები განკუთვნილია 18 წლიდან და უფროსი ასაკის მაყურებლისთვის.

### ОРТ

08.05 Сериал "Правда о птицах"
09.00, 11.00, 15.00 Новости.
09.10 Армейский магазин
09.40, 14.30 Дисней-клуб
10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО"
11.10 Непутевые заметки с Дм. Крыловым
11.30 Пока все дома.
12.05 х.ф. "МЕЧЕНЫЙ АТОМ"
14.00 "Тайны забытых побед"
15.10 Живая природа "Русский медведь"
16.10 х.ф. "БЕГЛЕЦ"
17.00 "Большие родители"
17.30 Сами с усами
18.00 х.ф. "КИНГ-КОНГ ЖЫВ"
20.55 х.ф. "ХИЩНИК- 2"
22.00 Время
22.30 х.ф. "КОНАН-РАЗРУШИТЕЛЬ"
00.25 «На футболе» с Виктором Гусевым
00.55 х.ф. "БАРТОН ФИНК"

### РТР

07.30 Фильм "СЧАСТЛИВЫЙ НЕУДАЧНИК"
08.55 "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ"
09.50 Русское лото
10.40 "ТВ Бинго-шоу"
11.10 "КОРОЛЕВА КРАСОТЫ ИЛИ ОЧЕНЬ ТРУДНОЕ ДЕТСТВО"
11.35 Сам себе режиссер
12.35 "Городок"
13.05 х.ф. "ДАЧА"
15.00, 21.00 Вести.
15.20 Концерт Н. Бабкина
17.10 "Диалоги о животных"
18.10 "Комната смеха"
19.10 Фильм "КРАСОТКИ"
21.25 Аншлаг
22.30 Фильм "ДИВЕРСИЯ"
00.35 Легкая атлетика. Чемпионат Европы.
01.55 Спорт за неделю
02.30 Твин-пикс

### НТВ

07.40 х.ф. "НЕИЗВЕСТНАЯ ПЛАНЕТА"
08.35 "Star-старт"
09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня
09.15, 15.05 Вкусные истории
09.25 х.ф. "ЮНОСТЬ МАКСИМА"
11.20 фильм "ОХОТА НА ЗОЛУШКУ"
12.20 "Растительная жизнь"
13.25 х.ф. "ОТВЕТНЫЙ ХОД"
15.30 Служба спасения
16.05 Своя игра
17.25 Ток-шоу "Принцип "Домино"
18.30 Очная ставка
19.00 "Шоу Елены Степаненко"
20.30 фильм "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА"
21.35 фильм "МОНАХ-2. ВОЗВРОЩЕНИЕ ШАОЛИНЬ"
23.35 Фильм "ПУТЬ КАРЛИТО"
02.15 Пепси-чарт

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.